მაცნე
სამტრედიის

გაზეთი გამოდის
1930 წლის 5
ნოემბრიდან

samtrediismacne @ mail.ru

N20 (9164) 21 ივლისი. 2015 წელი ფასი 50 თეთრი

"ამ სამსახურში მუშაობა საკმაოდ საინტერესოა"

5

„ჩვენი ცნობიერების, ინტელექტი და სულიერების გაჯიმლიერლერით წ�ყითხვით"

2

საჩუქარი რომ არ მოგვერიოს...

"არავინ იცის, რა გამოვა ჩისგან"

7

8

ომს მოგინდეთ, ჩემი დავიწყება,
ხალხი ეს დაგანებებთ!

"ეს, ჩოგორი უნდა იყოს ქუჩაჩა!"

3

პროფესიონალი ეუნალისტი მკითხველის თვალით იხედება

3

ვისაც "ეუმოკრატიის სკოლის" მსმენელობა სურს...

ეი, გზა...

ეწერში, კეჭინარის უბანში მაშინ მივედით, როცა მუნიციპალიტეტის გამგებლის წარმომადგენელი სოფელ ეწერში რევაზ ივანიაძე, ეწრის მაჟორიტარი, მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი მერაბ უღრელიძე, მოსახლეობასთან ერთად გზის მშენებლობის მიმდინარეობის პროცესს აკვირდებოდნენ.

შპს "ლატექსის" (დირექტორი ზაზა თოფურია) ბრიგადა ამ ეტაპზე აქ 1700 მეტრ გზას აგებს.

მადლობის მეტი რა გვეთქმის, ნოდარ კოხრეიძე რომ იყო რაიონის თავკაცი, მას შემდეგ ამ უბანში ასე ხარისხიანად გზა არ გაკეთებულაო, _ გვითხრა ეწრელმა ნუგზარ კოპალეიშვილმა.

სულს მოვითქვამთ, მტვერი და უგზოობა არ შეგვაწუხებსო, _ ზვიად ივანიაძემ.

სამუშაოები რეგიონალური განვითარების ფონდიდან ფინანსდება.

ასე რომ, ეწრელები კეჭინარის უბანში მიმდინარე სამუშაოებით კმაყოფილნი არიან.

ლევან გაბეჩავა

განცხადება

2015 წლის 16 ივლისიდან 31 ივლისის ჩათვლით იწყება ხელახალი რეგისტრაცია იმ იძულებით გადაადგილებული ოჯახებისა, რომლებიც ჯერ კიდევ დაუკმაყოფილებელი არიან საცხოვრებელი ფართით.

გთხოვთ, აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით მიმართოთ ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა სამინისტროს იმერეთის რეგიონალურ წარმომადგენლობას.

მისამართი: ქუთაისი, ირაკლი აბაშიძის 1. № 27.

რეგისტრაცია უნდა გაიაროს ოჯახის ყველა წევრმა.

საჭიროა თან იქონიონ შემდეგი დოკუმენტები:

1. ოჯახის ყველა წევრის: ა) დაბადების მოწმობის ასლები; ბ) პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლები; გ) ომის ვეტერანის მოწმობის ასლი (არსებობის შემთხვევაში).

2. შეზღუდული შესაძლებლობის დამადასტურებელი დოკუმენტი (არსებობის შემთხვევაში).

3. ავადმყოფობის შემთხვევაში სამედიცინო ცნობა _ ფორმა №100; ბავშვების დაბადების მოწმობის ასლები.

ოჯახის რომელიმე წევრის წაუსვლელობის შემთხვევაში შესაძლოა ნოტარიულად დამოწმებული დოკუმენტების წარდგენა (მინდობილობის საფუძველზე).

ლევან ყიფიანი
სამტრედიის მუნიციპალიტეტის გამგეობის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის უფროსი

სარევეზა რომ არ მოგვერიოს...

ლევან გაბეჩავა

ჭარბტენიანობამ გარდა იმისა, რომ მზე ლამის მოგვანატრა, თავსატეხი თუ არა, დამატებითი პრობლემები ნამდვილად შეუქმნა ხალხს.

16 ივლისს ქალაქ სამტრედიაში, წერეთლის ქუჩაზე არსებულ სასაფლაოზე იმ დროს მივედით, როცა სამტრედიის მუნიციპალიტეტის პანთეონის, სასაფლაოების, ტერიტორიის გამწვანებისა და სანერგე მეურნეობის გაერთიანების სასაფლაოების ზედამხედველი ირაკლი მეფარიშვილი, ქალაქ სამტრედიაში მუნიციპალიტეტის გამგებლის წარმომადგენლის აპარატის სპეციალისტი ირაკლი ადეიშვილი გაერთიანების თანამშრომლებთან ერთად იყვნენ, რომლებიც აღნიშნული სასაფლაოსა და ეკლესიის ტერიტორიას ასუფთავებდნენ.

ცოტა ხნის წინ, გაერთიანების თანამშრომელთა ძალებით, წმინდა მეფე დავით აღმაშენებლის სახელობის საკათედრო ტაძრის მიმდებარე ტერიტორიაც გაიწმინდა: სოფელ ეწერში, მუსხელიშვილის ქუჩაზე არსებულ სასაფლაოზე ჩამოიბელა ხეები, გაიკაფა ეკალ-ბარდი, ანალოგიური სამუშაოები შესრულდა კომახოურის სასაფლაოზეც.

გაწმენდილი ტერიტორია შეიწამლა "რუმბოს" ბალახსაწინააღმდეგო ხსნარით. _ განუცხადა "სამტრედიის მაცნეს" გაერთიანების დირექტორმა, მერაბ დიდიძემ. შეკითხვაზე, თუ იგეგმება შესაბამისი სამუშაოები დაბა კულაშში არსებულ სასაფლაოზეც შესრულდეს, კერძოდ, მოხდება თუ არა საუკუნოვანი ჭადრების გადაბელვა, რომლებიც აშკარა საფრთხეს უქმნის სასაფლაოებს, მერაბ დიდიძემ განმარტა, რომ საკრებულოს უახლოეს სხდომაზე ეს საკითხი გადაწყდება.

მუნიციპალიტეტის გამგეობის პანთეონის, სასაფლაოების, ტერიტორიის გამწვანებისა და სანერგე მეურნეობის გაერთიანება თხოვს მოსახლეობას, გადაიხადონ წლიური ერთჯერადი გადასახადი 5 ლარი, ე. ი. სავალდებულო მომსახურების მოსაკრებელი, რომელიც შესრულებულ სამუშაოსთან შეფარდებით სიმბოლური თანხაა.

ვიმედოვნებთ, მოსახლეობა გაგებით შეხვდება გაერთიანების ხელმძღვანელთა კანონიერ თხოვნას და თანხას ჩარიცხავს მითითებულ ანგარიშზე:

ს.ს. ლიბერთი ბანკი
ანგ. № GE84LB0115185091014000
ბანკის კოდი LBRTGE22

ვისაც "დემოკრატიის სკოლის" მსმენელობა სურს...

ნათია ნაცვლიშვილი

"დემოკრატიის სკოლა" ნიდერლანდების მრავალპარტიული დემოკრატიის ინსტიტუტის (NIMD) პროექტია, რომელიც მიზნად ისახავს აქტიური მოქალაქეების ჩამოყალიბების ხელშეწყობას, მათი სათანადო ცოდნითა და უნარებით აღჭურვას. NIMD-ის პროგრამული საქმიანობა საქართველოში შემდეგი მიმართულებით ხორციელდება: დემოკრატიის სწავლება, რეფორმების მხარდაჭერა, პარტიების ინსტიტუციური განვითარება.

დემოკრატიის სკოლის მნიშვნელობასა და ამ სკოლის წარმატებული საქმიანობის შესახებ ესაუბრნენ სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომათა დარბაზში შეკრებილ საჯარო მოხელეებს დემოკრატიის განათლების პროგრამის ოფიცერი მარიამ ჩიხლაძე და დემოკრატიის სკოლის კოორდინატორი ანა შალიკიანი. მათი თქმით, დემოკრატიის სკოლის პილოტური პროექტი 2011 წელს, თელავში განხორციელდა, 2012 წლიდან, მას ქუთაისშიც ჩაეყარა საფუძველი, ამავე წელს დემოკრატიის სკოლებმა ფუნქციონირება დაიწყეს გორსა და ბათუმშიც. დარბაზში ისხდნენ ადამიანები, ვინც დაასრულეს ამ სკოლის კურსი, და ისინიც, ვინც ახლა გადიან სწავლებას. მათ შორისაა ვალოდია ვაშაკიძე, მუნიციპალიტეტის გამგებლის წარმომადგენლის საკოორდინაციო განყოფილების სპეციალისტი.

სკოლა გვთავაზობს საერთაშორისო გამოცდილებაზე დაფუძნებულ სასწავლო პროგრამას. პრაქტიკოსი და მკვლევარი ლექტორების გუნდი 5 თვის განმავლობაში მსმენელებს, რომელთა ასაკი 18 წლის ზემოთაა, უტარებენ ტრენინგებს (კვირაში 2-ჯერ), სკოლა ღიაა განსხვავებული გამოცდილების მქონე ადამიანებისათვის, რომელთაც დემოკრატიის საფუძვლებში ჰორიზონტის გაფართოება სურთ, რათა ქვეყნის დემოკრატიის მშენებლობაში საკუთარი წვლილი შეიტანონ. სკოლა სწორედ ისეთი აქტიური მოქალაქეების "გამოძერწვაში" ეხმარება საზოგადოებას, რომლებიც შეძლებენ საკუთარი ან საკუთარი თემის ინტერესები დაიცვან და ეფექტური მონაწილეობა მიიღონ საქვეყნო საქმეებში, შეძლონ საინტერესო იდეების პროექტებად გადაქცევა, შემდეგ ამ პროექტების ადვოკატირება, რადგან რაგინდ მომხიბვლელიც არ უნდა იყოს იდეა, არც ერთი დონორი მას არ დააფინანსებს, თუკი სწორად არ იქნა ჩამოყალიბებული პროექტის სახით. სკოლის მსმენელად ყოფნის მსურველთათვის სასიამოვნო ინფორმაციაა ისიც, რომ სკოლა იძლევა სასწავლო პროცესის სამსახურებრივ მოვალეობებთან შეთავსების შესაძლებლობას. სკოლაში სწავლების მსურველთათვის კონკურსი 2 ეტაპად წარიმართება: აპლიკანტების გადარჩევა და გასაუბრება. მსმენელები ისარგებლებენ დისტანციური სწავლების თანამედროვე პროგრამითა და ელექტრონული მკითხველებით, ისინი მონაწილეობას იღებენ დისკუსიებში, სემინარებსა და პრეზენტაციებში, როგორც საქართველოს, ისე საზღვარგარეთის წამყვან უნივერსიტეტებსა და კვლევით ორგანიზაციებთან.

მარიამ ჩიხლაძე: "დემოკრატიის სკოლის სასწავლო კურსი ოთხ მოდულს მოიცავს: პრაქტიკული უნარების მოდული დემოკრატიის ისტორიას, მის ძირითად პრინციპებს განიხილავს, დემოკრატიული საზოგადოების მოდული სამოქალაქო საზოგადოების, არასამთავრობო სექტორის, არჩევნების, მედიის, გენდერის, პოლიტიკური პარტიებისა და იდეოლოგიის საკითხებზეა ორიენტირებული. დემოკრატიული მმართველობის მოდული სახელმწიფო მმართველობის, ადგილობრივი თვითმმართველობის, საჯარო პოლიტიკისა და კონსტიტუციონალიზმის მნიშვნელოვან საკითხებს ეხება. მეოთხე მოდული კი ლიდერობის უნარჩვევების განვითარებაზეა ორიენტირებული".

დარბაზში მყოფმა ირინა ქართველიშვილმა, როგორც დემოკრატიის სკოლის კურსდამთავრებულმა, ასევე ისაუბრა დემოკრატიის სკოლის მნიშვნელობაზე. მან მიიღო გრანტი პროექტისათვის "ძველი ქალაქების თანამედროვე იერსახე". ირინამ და მისმა ჯგუფმა 4 ქალაქში ისტორიულ შენობებს გადაუღეს ფოტოები, შემდეგ მოიძიეს ამ შენობათა თავდაპირველი ფოტოები, მოეწყო გამოფენა ოთხივე ქალაქში და საზოგადოებას წარმოდგენა შეექმნა ამ შენობების თანამედროვე იერ-სახის შესახებ.

"რამდენჯერმე მიმიღია მონაწილეობა NIMD-ის მიერ ორგანიზებულ კონფერენციებში, ჩემთვის განსაკუთრებით სასიხარულო იყო ის, რომ გავეცანით თქვენს მიერ გამოცემულ ქართულად თარგმნილ თანამედროვე პოლიტიკურ ლიტერატურას, თუ მსგავსი ლიტერატურა კიდევ იქნება ხელმისაწვდომი, ძალიან კარგია". _ მიმართა პრეზენტატორებს საკრებულოს "რესპუბლიკელმა" წევრმა, იმედო გოგავამ.

საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე, კობა ძიძიგური კი დაინტერესდა, იქნებოდა თუ არა შესაძლებელი, დემოკრატიის სკოლის კურსის"ონლაინ" რეჟიმში გავლა, მაგრამ ასეთი რამ შეუძლებელია. "რომ არა დატვირთული სამსახურებრივი გრაფიკი, სიამოვნებით გავივლიდი ამ სკოლის კურსს". _ გვითხრა მან. სკოლის მიმართ თავისი დადებითი დამოკიდებულება გამოხატა საკრებულოს თავმჯდომარემ, ნუგზარ ჯამბურიამ და აღნიშნა, რაც მეტი ახალგაზრდა გაივლის მსგავს სკოლაში ტრენინგების კურსს, მით უკეთესი იქნება ჯანსაღი დემოკრატიული საზოგადოების მშენებლობისათვის.

“ამ სამსახურში მუშაობა საკმაოდ საინტერესოა”

ნათია ნაცვლიშვილი

ლაშა ორმოცაძე ჩვენი ინტერესის ორბიტაში სულ ცოტა ხნის წინ მოექცა. სამტრედიის ინტელექტუალთა ნაკრები გუნდის წევრს ინტერვიუსათვის ტექნიკის მაღაზიაში მივაკითხეთ, სადაც ის იმხანად იყო დასაქმებული. ამჟამად კი მასთან, როგორც რესპონდენტთან გამგებლის თანაშემწის ამპლუაში მომიხდა მისვლა. 7 ივლისს ლაშა ოფიციალურად დაინიშნა სამტრედიის მუნიციპალიტეტის გამგებლის თანაშემწედ. “ბაში-აჩუკიდან” უკვდავი ფრაზისა არ იყოს, “ვეძებდი, როგორც მაღაზიაში მოვაჭრეს და შევხვდი, როგორც საჯარო მოხელეს”.

ლაშამ ყოფილ 24-ე, (მე-11 საჯარო) სკოლის დამთავრების შემდეგ სწავლა თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში განაგრძო. 2005 წელს სწავლა დაასრულა. წელიწად-ნახევრის განმავლობაში ჯარში იმსახურა. სამტრედიაში დაბრუნების შემდეგ დროებით ვანში მუშაობდა საოლქო-საარჩევნო კომისიის იურისტად. შემდეგ ლაშამ საჯარო სამსახურში მუშაობის გამოცდილებაც დააგროვა. 2008 წელს იგი მუნიციპალიტეტის გამგეობაში მუშაობდა შესყიდვების, ზედამხედველობისა და ადგილობრივი მოსაკრებლების სამსახურში იურისტად. აგვარებდა იურიდიულ საკითხებს. სამსახურიდან პირადი განცხადების საფუძველზე წავიდა. შემდეგ საკმაოდ დიდი ხანი დაჰყო გაყიდვების მენეჯერად მაღაზიაში “კაფელის სახლი”.

17 წელია, რაც ლაშა სამტრედიის ინტელექტუალთა ნაკრები გუნდის წევრია. “ჯერ კიდევ სკოლის მე-10 კლასის მოსწავლე ვიყავი, მამუკა შენგელია ხელმძღვანელობდა ამ საქმეს, მუნიციპალიტეტის სკოლების ნიჭიერ მოსწავლეებს მოუყარეს თავი, ასე შეიკრიბა ეს გუნდი. დავდიოდით ტურნირებზე ქუთაისის, ბაღდათის, ოზურგეთის და სხვა მუნიციპალიტეტებში. ეს სიყვარული ბავშვობიდან გამომყვა, დღეს იგივე თაობაც ვიკრიბებით და ახალგაზრდებიც დავიმატეთ გუნდში. ვერ ვიტყვი, რომ გუნდის გამორჩეული წევრი ვარ, ალბათ, უფრო რიგითი წევრი ვარ. ზოგადად ინტელექტუალი ცოტა ხმამაღალი ნათქვამია. ალბათ, სპორტის საკითხებში უფრო ძლიერი ვარ”. _ ასე აფასებს თავის შესაძლებლობებს ლაშა.

ამჟამინდელ საქმიანობას და ფუნქციას ასე განმარტავს: “გამგებელთან შემოსული წერილების, კორესპონდენციების კონტროლი, გამგებლისათვის პრობლემების შესახებ მოხსენება, მისი შეხვედრების ორგანიზება, გამგებელთან მოქალაქეების კომუნიკაციის ერთ-ერთი გამტარი რგოლი ვართ. ამ სამსახურში მუშაობა საკმაოდ საინტერესოა, სულ რამდენიმე დღის დაწყებული მაქვს მუშაობა”.

აქვს თუ არა ჰობი? ამ შეკითხვას ასე პასუხობს: “იმ თაობის ადამიანი ვარ, ვისთვისაც გართობის ერთ-ერთი საუკეთესო საშუალებაც კი წიგნი იყო. ვერ გეტყვი, რომ ახლა იმ ენთუზიაზმით ვკითხულობ, რა ენთუზიაზმიც 15 წლის ასაკში მქონდა, საამისო დრო არ მაქვს. წიგნი ძალიან კარგია, მაგრამ ტექნოლოგიურმა მიღწევებმა კომპიუტერი შეუცვლელი გახადა ინფორმაციის მოძიების თვალსაზრისით”. _ გვეუბნება ბატონი ლაშა და დასძენს, რომ წიგნთან ერთად მისი ძირითადი ჰობი ფეხბურთია.

ჩვენი მეორე რესპონდენტი ანზორ ბუაძეა, ის რამდენიმე დღეა, რაც გამგებლის თანაშემწედ დაინიშნა. რაჭული შეფერილობის გვარის მქონე ეს ახალგაზრდა სამტრედიის მკვიდრია, თუმცა ამბობს, რომ განსაკუთრებული სითბო ახასიათებს რაჭის მიმართ.

ანზორს ლაშა ძალიან დადებითად ახასიათებს. ამბობს, რომ ის არის ძალიან კეთილი და უშუალო ადამიანი.

“დავამთავრე მე-9 საჯარო სკოლა, მშობლებივით მიყვარს ჩემი პირველი კლასის მასწავლებელი, რუსუდან ჩხენკელი და სკოლის დირექტორი, თამარ თევზაძე. სკოლის შემდეგ ბათუმის საზღვაო სასწავლებელი დავამთავრე, მერე ქუთაისის ა. წერეთლის უნივერსიტეტში ენერგეტიკის ფაკულტეტზე ჩავბარე. ამჟამად ვაპირებ მაგისტრატურაზე სწავლის გაგრძელებას”. _ გვითხრა ჩვენმა რესპონდენტმა.

როგორც ამბობს ის იანვარში ხელშეკრულებით აიყვანეს, ამჯერად კი, საკონკურსო-საატესტაციო ეტაპების გავლის შემდეგ, გამგებლის თანაშემწედ დაინიშნა.

თავისუფალი დრო ახალგაზრდა საჯარო მოხელეს იშვიათად რჩება, რადგან იმ დროსაც სამსახურში ატარებს, თუმცა, ჰობს რაც შეეხება, მისი ჰობი თევზაობაა და მეგობრებისათვის წიგნების ჩუქება.

პროფესიონალი ჟურნალისტი მკითხველის თვალით იხედება

თეა ბაბუნაშვილი

ეს ინტერვიუ სახელდახელოდ ჩაიწერა. პოეტ აკაკი თევზაძესთან გამართული შეხვედრა ილორის საჯარო სკოლაში ჟურნალისტებს მხოლოდ მისი პოეზიის საქებრად არ გამოგვიყენებია. სულ ორიოდე სიტყვით ერთმანეთს საერთო საწუხარი გავუზიარეთ. ერთმანეთს, რადგან იმ შეხვედრას მეზობელი ვანის რაიონიდან ჩამოსული ჟურნალისტი იური კორძაძე ესწრებოდა.

ბატონი იური ვანში ცხოვრობს და მოღვაწეობს. არაერთი წელი იქ გამომავალ რაიონულ გაზეთში მუშაობდა, მისი რედაქტორიც გახლდათ. ჩვენ ჩვენი ვუთხარით, მან მისი თქვა და აღმოჩნდა, რომ აზრები ერთმანეთს დაემთხვა. ამიტომ, როგორც ჟურნალისტები ვიტყვით, ექსკლუზიურ ინტერვიუს გთავაზობთ, რომელშიც სულ რამდენიმე სიტყვით რაიონული გაზეთების საერთო სატკივარზეა საუბარი.

_ ბატონო იური, რა მდგომარეობაშია დღეს პრესა რაიონებში? არის თუ არა იმ სიმაღლეზე, როგორც წლების წინ იყო?

_ როგორც წლების წინ იყო, არათუ რაიონებში, ქვეყანაში არ არის პრესა. არც ისეთია, როგორიც უნდა იყოს, იმიტომ რომ, თუ გაზეთს ფინანსურად არ მოეხმარა ვინმე, ისე მისი არსებობა ძნელია. სპონსორები დიდ ქალაქებში არიან, რაიონებში კი ძალიან ნაკლებად. მკითხველიც ნაკლებად ჰყავს რაიონულ გაზეთს, რადგან არ აქვს პერიოდულობა, პერიოდულობა არ აქვს იმიტომ, რომ არ აქვს დაფინანსება და კადრიც არ არის...

_ ბევრი თვლის, რომ პირიქით, პროფესიონალი კადრები რაიონებში უფრო არიან...

_ კი, ბატონო, ამაში გეთანხმებით, მაგრამ დაინტერესება არ აქვს და ახალი კადრები აღარ მოდიან რაიონებში, ძველებია შემორჩენილი. ჟურნალისტი, პროფესიონალი ჟურნალისტი, წერილს რომ წერს, მკითხველის თვალით იხედება. თითოეულ ფრაზას იმის მიხედვით არჩევს, თუ როგორ მიიღებს მას იგი. დღეს გაფერმკრთალდა ეს ყველაფერი, რადგან ყვითელი პრესა დომინირებს. ინტრიგა, პირადი ცხოვრების არათუ სუფთა ნიუანსები და საეჭვო წარმომავლობის ნიუსები გახდა ინტერესის თემა.

_ აქედან გამომდინარე, რამდენად კეთილსინდისიერია დღეს ჟურნალისტიკა?

_ ძალიან დიდი ნაკლებობაა სინდისისა ამ სფეროში, თუმცა, არა მარტო ამ სფეროში... ახლა მთავარია, დაიწეროს რამე და პასუხს აღარავინ აგებს, არც სთხოვენ. უფრო მეტიც, აქეთ გადანაშაულებს. სოროსის მოწოდებაა ასეთი _ დაადანაშაულე მართალი, რადგან თუ იგი თავის მართლებას დაიწყებს, ნახევრად დამნაშავეა. ამ რიტმში მიდის ჩვენი ცხოვრება.

_ ბატონო იური, თქვენ ვანში გამომავალ რაიონულ გაზეთში მუშაობდით, რომელსაც ჩვენი გაზეთის დარად კომუნისტური წარსული და მრავალწლიანი ისტორია აქვს. რა მდგომარეობაშია დღეს იგი, იბეჭდება თუ შეწყვიტა არსებობა?

_ გაზეთი გამოდის, მაგრამ თვეში ერთხელ, თუ რამე ოფიციალური მასალა იქნა დასაბეჭდი. ეს, რა თქმა უნდა, ძალიან ცუდია...

_ იმ პერიოდულ გამოცემებს, რომლებსაც აღგილობრივი გამგეობები აფინანსებენ, რამდენად შეუძლიათ იყვნენ მიუკერძოებლები? არის თუ არა ეს მიზეზი იმისა, რომ ხელისუფლებას ბევრ რამეზე თვალი მოუხუჭონ?

_ არავითარ შემთხვევაში! ხელისუფლებაა რაიონის საკუთრება და არა პირიქით! ხელისუფლება თავად უნდა იყოს დაინტერესებული, ეს პერიოდული გამოცემები სამართლიანი იყოს. ეს, უპირველესად, მათთვისაა ხელსაყრელი. აღარაფერს ვამბობ იმაზე, რომ სამართლიანობა, პირველ რიგში, ჟურნალისტიკის უპირველესი მოვალეობა და დანიშნულებაა. თუმცა, დღეს ნაკლებად ითხოვენ იმას, რაც სამართლიანი და ქვეყნისა და რაიონისთვის ხელსაყრელია.

დაეწიოთ და გავუსწროთ ამერიკას...

ლევან გაბეჩავა

იყო დრო ეს ლოზუნგი ერთ-ერთი მთავარი მოწოდება იყო სოციალისტური ბანაკის ქვეყნებში, თუმცა, ამ სიტყვების დედააზრი ამერიკაზე მხოლოდ განვითარებით უპირატესობის მიღწევას გულისხმობდა და სხვა არაფერს...

შოუების ეპოქაში რომ ვცხოვრობთ გამოსერიალებული ქართველები, დიდი ხანია, სიახლეს არ წარმოადგენს, მაგრამ ერთი რამ ნამდვილად გვაფიქრებს და გვიბურღავს გონებას, რამ გამოგვილია ქვეყანაში თინეიჯერი ქალბატონები, მსახიობები (თუ ე. წ. მსახიობები), რომ კომედი შოუში ქალბატონების როლის შემსრულებლებად კუნთმაგარ, წვეროსნებს არ ვუხმოთ?!

ან თავად როგორ თანხმდებიან ამ შეთავაზებაზე მამაკაცები?

დაკვირვებული თვალი ადვილად შენიშნავს, რომ მთელ რიგ შემთხვევებში შოუებს არ ჰყავს ცოცხალი დარბაზი, ე. ი. აპლოდისმენტები და ოვაცია ფონოგრამირებული-ჩაწერილია. მაშ, რა გამოდის?

ბევრს არ გავაგრძელებთ, რომელი ჩვენგანი დაასახელებს თუნდაც ერთ ფაქტს, რომ ლეგენდარულ ქართველ კომიკოსებს, უდავოდ სახალხო არტისტებს: იპოლიტე ხვიჩიას, აკაკი კვანტალიანს, სანდრო ჟორჟოლიანსა და სხვებს მაყურებელთათვის სიცილის მოსაგვრელად თავი ლეჩაქით დაებუროთ, კაბა ჩაეცვათ და ქალური ჟესტებით გამოგვცხადებოდნენ ეკრანზე? მაშ, ახლა რა ხდება?

სიცილი, იუმორი უშუალო, ბუნებრივი, ძალადაუტანებელი, თავისთავადი უნდა იყოს და არა ნაძალადევი.

მაპატიონ (ე. წ.) მსახიობებმა, მაგრამ ბევრს ალბათ (მათ შორის მეც) ამ მსახიობთა უსუსურობაზე უფრო გველიმება გაოცებულებს, ვიდრე მათ მიერ შემოთავაზებულ “სცენურ მარგალიტებზე”.

დაბოლოს, არაა საჭირო ქალმა კაცის, კაცმა ქალის უხეირო როლი უხეიროდვე მოირგოს, არ უნდა იყოს სულაც ძნელი ჯანსაღი, კაცური იუმორით გამოკვებოთ ხალხი.



დავეწიოთ და გავუსწროთ ამერიკას-თქო ვთქვით და განვმარტეთ-სოციალისტური ბანაკის ქვეყნების დევიზი რომ იყო ეს სიტყვები.

მაშინ ვერ დავეწიეთ ნამდვილად ამერიკას გასწრებაზე რომ არაფერი ვთქვათ.

ახლა, ახლა კი, თუ ასე გაგრძელდა ნამდვილად გავუსწრებთ ამერიკასაც და იმ ქვეყნებსაც ქართველებისთვის უცხო, მიუღებელი როლებით რომ იწონებენ თავს...

სამცხეედრის მაცნე

ლევან გაბეჩავა

1862 წლის გაზაფხული.

გრიგოლ ორბელიანმა პეტერბურგს შეატყობინა მის მიერ ილია ჭავჭავაძისთვის "საქართველოს მოამბის" გამოცემისა და ჟურნალის პროგრამის დამტკიცების შესახებ.

იმპერიის სატახტო ქალაქში თხოვნა იმავე წლის 20 მარტს შეიწყნარეს (მხარი დაუჭირეს, დააკმაყოფილეს).

"საქართველოს მოამბის" ირგვლივ შეიკრიბნენ ინტელიგენციის ღირსეული წარმომადგენლები: ნ. ნიკოლაძე, გ. წერეთელი, ნ. ლოლობერიძე, კ. ლორთქიფანიძე, პ. ნაკაშიძე, დ. ყიფიანი, ნ. პოლტარაცკი და სხვები.

ჟურნალის დაარსება ქართული მწერლობის, ლიტერატურის, კულტურის, ზოვადად საქართველოს გამარჯვება იყო.

თითქმის ექვსი ათეული წლის შემდეგ, საქართველოს ამერ-იმერში მთელი სიცხადით დადგა დღის წესრიგში რაიონებსა და ქალაქებში ბეჭდვური ორგანოების, გაზეთების დაარსება.

სამწუხაროდ, ჩვენთვის არაა ცნობილი, ვინ იყვნენ სამტრედიის სინამდვილეში პირველი გაზეთის "სოციალისტური შეტევას" გამოსვლის ავანგარდში, თუმცა, ცნობილია, რომ მტრედათ ნათელული ქალაქის პირველი გაზეთის პირველი ნომერი 1930 წლის 5 ნოემბერს გამოვიდა.

უმნიშვნელოვანესი მოვლენა გახლდათ 60 წლის ქალაქ სამტრედიისათვის გაზეთის დაარსება.

თავდაპირველად გაზეთი ოთხგვერდიანი, შავ-თეთრი იყო.

300-500 ცალს შეადგენდა თითოეული ნომრის ეგზემპლარი.

დროის დინებასთან ერთად იზრდებოდა ფორმატი, ტირაჟი, ინტერესი გაზეთისადმი, იხვეწებოდა სტილისტურ-შინაარსობრივი, თემატური მხარე.

თუ იმ გარემოებას გავითვალისწინებთ, რომ 1930 წლისათვის მეზობელი ხონის, აბაშის რაიონებს არ ჰქონდათ გაზეთი, უნდა ვივარაუდოთ, რომ სამტრედიაში გაცილებით კარგად ყოფილა საქმე და ეს, პირველ ყოვლისა, რკინიგზის გამო.

1930 წელი...

ახლად დაარსებული გაზეთივით იკრებს ძალას საბჭოთა კავშირი.

უზარმაზარ საბჭოეთში კოლექტივიზაციისა და რეპრესიების ტალღა ერთიანად მოედო სხვადასხვა ერისა და ეროვნების ადამიანს.

ამდენად, ინფორმაციის საშუალებებით გაჟღერებულ წერილებს, კრიტიკულ შენიშვნებს მასების მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებასა და აგიტაციისათვის უდიდესი მნიშვნელობა ენიჭებოდა.

საკავშირო მთავრობა, საქართველოს პარტიული ხელმძღვანელობა, მართვის მძლავრი იარაღი გაზეთი "ხელიდან რომ არ გაექცეთ", ღებულობენ გადაწყვეტილებას _ რაიონული, საქალაქო გაზეთების რედაქტორობა შეუთავსონ საქალაქო და რაიონული კომიტეტების მდივნებს. ამდენად, გაზეთ "სოციალისტური შეტევას" პირველი რედაქტორი საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) სამტრედიის რაიკომის მდივანი იყო (ერთდროულად).

მიმდინარე წლის 5 ნოემბერს 85 წელი სრულდება სამტრედიაში პირველი ბეჭდვური ორგანოს _ გაზეთ "სოციალისტური შეტევას" დაარსებიდან. თარიღის მოახლოებასთან დაკავშირებით, პერიოდულად მივაწვდით მკითხველს, საზოგადოებას პუბლიკაციებს გაზეთის მიერ ღირსეულად განვლილი გზის შესახებ.

მისასალმებელი იქნება, თუ საშუალო და უფროსი თაობის ადამიანები მოგვაწვდიან მათ ხელთ არსებულ წერილობით და ფოტომასალას გაზეთთან, მის შემოქმედებით ჯგუფთან მეგობრობისა და თანამშრომლობის ცალკეულ, უკვე ისტორიად ქცეულ ფაქტებს რომ ასახავს. ამით კი შესანიშნავი საქმე გაკეთდება, პატივს მივაგებთ წარსულს და რამდენადმე შეივსება რედაქციის მდიდარი არქივი, 145 წლის ქალაქ სამტრედიის ლამაზი ისტორიის ღირსეულ მონაკვეთს რომ ასახავს.

ლიჩსეული მაქელიშვილი



წერილის მიზანია, მკითხველს გააცნოს პიროვნება, სულითა და გულით ქართველი და ნაღდი სამტრედიელი, რომელიც თავისი მოღვაწეობითა და საქმიანობის მასშტაბებით, უთუოდ იმსახურებს თითოეული სამტრედიელის ყურადღებასა და პატივისცემას. წერილის დაწერა გადაგვაწყვეტინა იმანაც, რომ 2011 წელს გამოცემულ სამტრედიის ენციკლოპედიაში მის შესახებ, ისევე, როგორც ზოგიერთ სხვა ღირსეულ სამტრედიელზე, სამწუხაროდ, საუბარი არ არის. სწორედ ამიტომ გადავწყვიტეთ ჩვენ, მისმა თანაკლასელებმა, მოგითხროთ ამ უნიკალური ბიოგრაფიის მქონე პიროვნების შესახებ.

იგი გახლავთ თეიმურაზ ლოლომაძე, დაბადებული 1940 წელს ქ. სამტრედიაში, საქართველოს დამსახურებული პედაგოგის, რესპუბლიკური მნიშვნელობის პერსონალური პენსიონერის, ივანე (ვანო) ლოლომაძის ოჯახში. დედა _ ქალბატონი ქეთევანი გახლდათ სამედიცინო დარგის მუშაკი. ბატონმა თეიმურაზმა 1958 წელს ოქროს მედალზე დაამთავრა სამტრედიის პირველი საშუალო სკოლა, ხოლო 1967 წელს წარჩინებით _ საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის ავტომატიკისა და გამოთვლითი ტექნიკის ფაკულტეტი, იმავე წელს მუშაობა დაიწყო თბილისის ავტომატიზაციის საშუალებათა სამეცნიერო კვლევით ინსტიტუტში, სადაც გაიარა ყველა საფეხური უფროს მეცნიერ მუშაკამდე.

1970 წელს მიენიჭა საქართველოს კომკავშირის პრემია მეცნიერებისა და ტექნიკის დარგში საბჭოთა კავშირის პირველი პარამეტრონული კლავიშებიანი გამოთვლითი მანქანა "გელათის" შექმნაში მონაწილეობისათვის.

1981-1983 წლებში მონაწილეობდა საბჭოთა კავშირში პირველი მილიონ კილოვატი სიმძლავრის ატომური ენერგობლოკის რეგულირებასა და გაშვებაში. როგორც ამ ატომურ სადგურზე დანერგილი ტექნოლოგიურ საშუალებათა უნიფიცირებული კომპლექსის ერთ-ერთი ავტორი, აღნიშნული კომპლექსი, რომელიც უზრუნველყოფს ატომური ელექტროსადგურის ავტომატურ მართვას, შემდგომში წარმატებით დაინერგა როგორც სსრ კავშირში, ასევე საზღვარგარეთ მილიონ კილოვატი სიმძლავრის რამდენიმე ატომურ ენერგობლოკზე. განუზომელია მისი როლი, როგორც მართვის სისტემის ერთ-ერთი თანაავტორისა, 1984-85 წლებში ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკაში ატომურ ელექტროსადგურებზე ენერგობლოკების რეგულირებასა და გაშვების საქმეში. იგივე სისტემა უფრო ადრე მისივე აქტიური მონაწილეობით წარმატებით დაინერგა ირანში.

აღსანიშნავია, რომ ორივე შემთხვევაში ბატონი თეიმურაზი იყო არა მარტო თანაავტორი ატომური ელექტროსადგურების მშენებლობის ურთულესი პროექტებისა, არამედ ამ პროექტების პრაქტიკაში გატარების ერთ-ერთი ყველაზე უფრო აქტიური მონაწილე.

მოგვიანებით, 1989 წლიდან 1997 წლამდე ბულგარეთის ქალაქ კოზლოდუიში კვლავ მონაწილეობდა მილიონ კილოვატი სიმძლავრის 2 ატომური ენერგობლოკის გამართვა-გაშვებასა და ექსპლუატაციაში არა მხოლოდ როგორც ატომური ელექტროსადგურის მართვის სისტემის ერთ-ერთი ავტორი, არამედ როგორც დამამზადებელი ქარხნის წარმომადგენელი და ინტერნაციონალური ჯგუფის ხელმძღვანელი.

სხვადასხვა წლებში მიღებული აქვს სახალხო მეურნეობის მიღწევათა საკავშირო გამოფენის ერთი ვერცხლისა და ორი ბრინჯაოს მედალი, ორი საავტორო მოწმობა, ხელსაწყოთმშენებლობის წარჩინებულისა და შრომის ვეტერანის სამკერდე ნიშნები და მედალი. საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის საპატიო სიგელი, გამოქვეყნებული აქვს რამდენიმე სამეცნიერო სტატია საკავშირო სამეცნიერო ჟურნალებში პარამეტრონული კლავიშებიანი გამოთვლითი მანქანების "გელათი", "გელათი-2" და "გელათი-4"-ის, აგრეთვე, ატომური ელექტროსადგურების მართვის სისტემის შესახებ. მიუხედავად სოლიდური ასაკისა, სახელმწიფო თუ კერძო სტრუქტურები მზადყოფნას გამოთქვამენ ითანამშრომლონ ამ მაღალი დონის სპეციალისტთან. ამჟამად იგი მუშაობს შესანიშნავ კოლექტივში _ კომპანია "დჟიტიეს ელექტრონიკს"-ში ინჟინერად.

ბატონი თეიმურაზი დიდი ხანია მეუღლესთან, ორ ვაჟთან და 5 შვილიშვილთან ერთად ცხოვრობს ქალაქ თბილისში, მაგრამ მისთვის ყველაზე ძვირფასი მშობლიური ქალაქია. იგი დიდი ინტერესით ადევნებს თვალს რაიონში მიმდინარე პროცესებს გაზეთ "სამტრედიის მაცნეს" მეშვეობით, რომელთანაც წვდომა აქვს ინტერნეტით. გულით ხარობს ყველა სფეროში მიღწეული წარმატებებით, ახალგაზრდობაში სპორტით დაინტერესებული (იყო წარმატებული მოჭადრაკე), არის სამტრედიელი მოჭადრაკეებისა და საფეხბურთო კლუბ "სამტრედიას" დიდი გულშემატკივარი.

ჩვენ შევეცადეთ სამტრედიის წიაღში დაბადებული და გაზრდილი ამ საინტერესო ადამიანის შთამბეჭდავი ბიოგრაფია, თუნდაც თეზისების სახით, მიგვეწოდებინა გაზეთის მკითხველებისთვის. დიდი იმედი გვაქვს, რომ ისინი ადეკვატურად აღიქვამენ ამ წერილის გამოქვეყნების მიზანს _ გაგვეცნო მათთვის ჩვენი ქალაქის კიდევ ერთი ღირსეული შვილი, რომლის არსებობა ჟამთა ულმობელი სვლის გამო მხოლოდ საკმაოდ შეთხელებულ მის თანაკლასელებს თუ გვახსოვს, არადა, იგი უდავოდ იმსახურებს სრულიად სამტრედიის საზოგადოების ყურადღებას.

ციცო სტურუა
ეროვნული ჯილდოს ლაureატი

ზერილი მეხუთე

სამტრედია ჩემი

ლევან გაბეჩავა

ყველა სახლზე სამტრედეა
სიხარულის მჩენი,
სამტრედია, სამტრედია _
სამტრედია ჩემი...

გრ. ჯულუხიძე.

სამწუხაროდ, ქვეყანაში კვლავ შენარჩუნებული მძიმე სოციალური ფონის გამო, საქართველოს მოსახლეობის უმეტესობა ვაჭრობით ირჩენს თავს. ანალოგიური ვითარებაა ქალაქ სამტრედიაშიც, რომელიც შემოდგომაზე 145 წლის იუბილეს იზეიმებს.

დილიდანვე იჩქარიან სამტრედიელები, ახლო მახლო სოფლების მცხოვრებნი ბაზრისაკენ. სამწუხაროა, თუმცა რეალობა, რომ ვერა და ვერ მოხერხდა გარე ვაჭრობის ყბადაღებული პრობლემის მოგვარება, რაც, პირველ ყოვლისა, სანიტარიულ-ჰიგიენურ პირობებზე ახდენს უარყოფით გავლენას.

რელიგიური ტრადიციის მიხედვით ქრისტიანის მიერ პარასკევობით მიწაზე მუშაობა, მიწის "შეძვრა" ცოდვად ითვლებოდა. ეს წესი დასავლეთ საქართველოში ადრიდანვე დამკვიდრებულა. ქრისტიანული პარასკევი სავაჭრო დღედ იყო მიჩნეული.

1889 წლის 16 ოქტომბერს, მთავრობის ნებართვით, სამტრედიაში დაწესდა ბაზრობა პარასკევობით, ამ დღისათვის აქ მოიწვიეს ბლაღოჩინი, მამა ერმალოზ კანდელაკი, რვა მღვდელი და ამდენივე მამასახლისი.

წირვის შემდეგ გაიმართა ვაჭრობა.

ბაზრის შუაგულში მდებარე ვეებერთელა ტბა არა მარტო წამლავდა ახლომახლო სოფლებს, არამედ სავსე იყო სხვადასხვა ქვემძრომითა და ბაყაყებით. წვიმის დროს აქ უცხენოდ ვერავინ გაივლიდა. რკინიგზის განვითარების წყალობით კი ვითარება მალე შეიცვალა.

"ვინც ერთი წლის წინათ ჰნახა ჩვენი პატარა სამტრედია, ეხლა ველარც კი იცნობს. საიდან გინდა, რომ აქ ვაჭრები არ გადმოდიოდნენ, ქუთაისიდან, ბათუმიდან, ხონიდან, ფოთიდან, ასე წარმოიდგინეთ, ტფილისიდანაც კი". _ წერდა "ივერია" 1890 წელს.

ხილისა და ბოსტნეულის გასაყიდად სამტრედიაში 1909 წელს "მწვანე ბაზარი" გაიხსნა.

1902 წელს ცალკე ადგილი გამოჰყვეს პირუტყვით ვაჭრობისათვის.

სამტრედიის ბაზრობას _ "პარასკევობას" მოქიშპე მალე გამოუჩნდა კულაშისა და ხონის ბაზრების სახით.

"...რომ ვინმე აღმოჩენილიყო მსურველი, წინათ მთელ სამტრედიას ას მანეთად იყიდდა. ეხლა, როცა ტყე გაიკაფა, რკინის გზის სადგური დაარსდა, ადგილსაც ფასი დაედო. აქ ერთი მცირე სადუქნე ადგილი რვაას მანეთზე ნაკლები არ ჯდება". _ წერდა გაზეთი "ივერია" 1894 წელს.

დრო გავიდა.

სამტრედიამ სახე იცვალა. დღესაც, "ძლიერთა ამა სოფლისათა" უპრობლემოდ მიუწვდებათ ხელი, ქალაქის პრესტიჟული ადგილები დაისაკუთრონ, ისაკუთრებენ კიდეც.

სამწუხაროდ, საუკუნის წინანდელი ვითარება, რამდენადმე მაინც, დღესაცაა შენარჩუნებული. ბაზრის მიმდებარე ტერიტორია ვერა და ვერ გამოირჩევა სისუფთავით. ისიც გასათვალისწინებელია, რომ განსაკუთრებით ბაზრობის დღეებში, ბაზრისაკენ მიმავალთ, თუ ბაზრიდან უკვე "ფასებით გალაღებულთ" ასი თვალისა და ასი ყურის ქონა მართებთ, ყოველგვარი წესების გარეშე მოძრავი მანქანების ბორბლებქვეშ რომ არ აღმოჩდნენ.

„ჩვენი ცნობიერება, ინტელექტი და სულიერება გვიმდიდრეთ წიგნის კითხვით"

ნათია ნაცვლიშვილი

სოლომონ ისაკიჩ მეკლანუაშვილის ფსიქოლოგიის ადამიანები მომრავლდნენ. მერკანტილისტური საზოგადოება საგსებით დაშორდა წიგნს. "რა დროს ლექსიაო, მოუკვდა პატრონი". _ ამ განწყობის ადამიანები აღემატებიან იმ ადამიანებს, ვინც თავიანთი თუ სხვათა შვილებისათვის ყველაზე საუკეთესო საჩუქრად წიგნებს მიიჩნევენ. აი, ასეთი სურათი გვაქვს ქვეყანაში, სადაც რესტორნები წიგნის მაღაზიებზე მეტია. ესეც კიდევ არაფერი, 50%-ით ფასდაკლებული წიგნი დევს თაროზე და მასაც არავინ ყიდულობს...

არადა, უფრო კეთილი და მიმტევებელი იქნებოდა ადამიანი, მეტად ახლოს რომ იყოს წიგნთან. სამწუხაროდ, სხვა რეალობაში გვიწევს ცხოვრება. სამტრედიის წმინდა მეფე დავით აღმაშენებლის სახელობის საკათედრო ტაძრის მოძღვარი, დეკანოზი ანტონი (ვაშაკიძე) წიგნიერებაზე გვესაუბრება.

_ **განათლებული ადამიანის განმსაზღვრელ ეპითეტად ქართველ კაცს სიტყვა "წიგნიერი" შემთხვევით არ აურჩევია. წიგნის სახით რაღაც საუნჯესთან, დიდ ფენომენთან გვაქვს საქმე. რა ფენომენია წიგნი, რას ნიშნავს ის თქვენთვის?**

_ უპირველეს ყოვლისა, მივესალმები თქვენს რედაქციას ძალიან დიდი პატივისცემით. მადლობა, რომ რესპონდენტად ამირჩიეთ. ეს ჩემთვის პატივია. რაც შეეხება წიგნს, გარდა იმისა, რომ წიგნი ჩემთვის ესთეტიური ღირებულებაა, ასევე არის სამყაროსეულ რეალობასთან შეხების საგანი. წიგნის კითხვა, მასთან ურთიერთობა არის ჩემთვის იდეალური მოვლენა, წიგნს თავისი, განსაზღვრული იდეალური ღირებულება აქვს. ძალიან კარგია, თუ ჩვენი მომავალი თაობა იქნება წიგნიერი, განათლებული. პირველი წიგნი მე-16 საუკუნეში დაიბეჭდა, მანამდე პაპირუსებზე წერდნენ. წიგნს აღმზრდელობითი, პედაგოგიური მნიშვნელობა აქვს. მასში სამყაროს რეალობები, ხდომილებებია ასახული, ადამიანის სულიერი აზროვნების სამყაროა გადაშლილი. ახლო წარსულში მოღვაწე ამერიკელი მწერალი ამბობდა: "წიგნთან მუშაობა არის ერთგვარი სიამოვნება და სიცოცხლეს საზრისს ანიჭებსო". ფასდაუდებელი მნიშვნელობა აქვს ჩემთვის წიგნს. კარგი გაგებით ვაკერპებ წიგნთან ურთიერთობას.

_ **ბავშვობაში წაკითხული წიგნები ხშირად გადაგიკითხავთ? ბიბლიის გარდა რომელი სამაგიდო წიგნი გაქვთ?**

_ კლასიკურ ლიტერატურას რაღაც დონეზე ვიცნობ, მაგრამ ჩემი ფუნქციიდან და დატვირთვიდან გამომდინარე, ფილოსოფიურ, თეოლოგიურ ლიტერატურასაც ვეცნობი. ჩემი საყვარელი ჟანრია თეოლოგია, ფილოსოფია, ესეისტიკა. მახსოვს, მე-8 კლასში "დათა თუთაშხიამ" ჩემზე დიდი გავლენა იქონია. განსაკუთრებული შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე ამ ფრაზამ: "ბოლომდე დამწვარი სანთელი თავისთავადაც მშვენიერებაა და იმ მშვენიერებას გვაგონებს, რაც რბილად მოციმციმე, მაგრამ წყვდიადის შემანგრეველი ძალა იყოო". ამ რბილად მოციმციმე, წყვდიადის შემანგრეველ ძალაში სწორედ წიგნიერება, ცოდნა, შემეცნება ვიგულისხმოთ სიმბოლურად. ბიბლიის გარდა ჩემთვის სამაგიდო წიგნებია გრიგოლ რობაქიძის წიგნები. ამჯერად ვკითხულობ მის ესსეების კრებულს "ომი და კულტურა". ეს მწერალი საოცრად ღრმად მოაზროვნეა, ჩემი ფავორიტი. მას საოცრად ღრმა რელიგიური, მისტიური, ლიტერატურული, ესთეტიური ხედვა აქვს.

_ **როცა ქუთაისში ჩამოვიდა ეს ესთეტი მწერალი, გრიგოლ რობაქიძე, იმდენად მოუნუსხავს ქუთაისური აუდიტორია მისი ლექციებით, დავით კლდიაშვილს უთქვამს: "სად ისწავლა ამ ოჯახდაქცეულმა ამისთანა ქართულიო!"**

_ დიახ, რეპრესირებული იყო, საოცარი ადამიანია ჩემი აზრით, ვამაყობ რომ ჩვენი თანამემამულე იყო. ამ მწერლის შემოქმედებას უდიდეს პატივს ვცემ. განსაკუთრებით კი ფილოსოფიური ლიტერატურა მიყვარს, რუსეთის რელიგიური ფილოსოფია, რომელიც მე-19 საუკუნეში აღმოცენდა: ვლადიმერ სოლოვიოვი, და თუ შეიძლება ასე ითქვას, მისი მემკვიდრე ნიკოლაი ბერდიაევი.

_ **რამდენად დიდი განძი და შენაძენია წიგნიერი ადამიანი საზოგადოებისთვის?**

_ განათლებული ადამიანი თავის ირგვლივ ქმნის ინტელექტუალურ სივრცეს, რომელიც შეიძლება ითქვას, თანამედროვე ეპოქაში დეფიციტურია რაღაც დონეზე, არ მინდა, ზედმეტად კრიტიკული ვიყო და მკაცრი. არსებობდა ახლო წარსულში სტატისტიკა: 1000 ქართველ მკითხველზე 1500 წიგნი მოდიოდა. ამ მონაცემებმა ახლა დაიკლო. ამას წინათ ვუსმენდი ერთ-ერთ ლიტერატურულ გადაცემას, სადაც ითქვა, მსოფლიოში ბოლოდან მე-100 ადგილზე ვართ ამ მაჩვენებლით. ეს ძალიან საგანგაშოა. ილიას აქვს ძალიან კარგი კონცეპტი განათლებული ადამიანის დახასიათებისა: განათლებული არის არა მარტო მცოდნე, არამედ, ადამიანი, რომელსაც ცოდნასთან შეფარდებული გაწვრთნილი ზნე-ხასიათი აქვს, როცა ცოდნასთან სინერგიულად შეფარდებულია სულიერება. ანუ ცოდნა იქცევა არა ძალაუფლების საგნად, არამედ, ნამდვილად მცოდნე, განათლებული ადამიანი პროსოციალური, სოციუმზე ორიენტირებული ხდება. ის ცდილობს, ყოველგვარი ქედმაღლობის და ამბიციების გარეშე თავისი ცოდნა, სიტყვა ადამიანებთან მიიტანოს და მათ დაეხმაროს სწორი გზის გაკვლევაში. ცოდნა პლუს ცხოვრებისეული გამოცდილება, ეს ყველაფერი ეთიკურ ნორმებში მოქცეული, აი, ესაა ჩემთვის განათლებული ადამიანის მახასიათებელი.

_ **ტექნიკურმა მიღწევებმა ადამიანის სულს რომანტიკული განწყობები საერთოდ გამოაცალა, ადამიანი გახდა მატერიაზე, ფულზე, ფუფუნების საგნებზე ორიენტირებული. "ბალახი მოედება სულს, თუ არ ვიოცნებეთ სესე", ამბობს ერთგან პოეტი. როგორ უნდა დავუპირისპირდეთ ამ პროცესებს, რომ ზედმეტად მერკანტილური, მატერიაზე ორიენტირებული საზოგადოება იდეისაკენ, სულიერებისაკენ მოვაბრუნოთ, წიგნების წამკითხველი ადამიანი, ალბათ, გაცილებით სულიერად განწმენდილი და სუფთაა...**

_ დიახ, მატერიაზე ორიენტირებული და ინერტული გახდა ადამიანი. თითქოს ანალიტიკური აზროვნება ამოვიდა ზოგადად სააზროვნო დისციპლინიდან და რაღაც მექანიკურად აღიქვამს სამყაროს. ერთ-ერთი მოაზროვნის თქმით, სამყარო ღმერთის თავგადასავალია და მასში შეიძლება დიდი სიღრმეები ამოიკითხო. ამასთან დაპირისპირება შეიძლება შემდეგი მეთოდებით: რა თქმა უნდა, უპირველეს ყოვლისა, კულტურის ამოცანა უნდა იყოს მასა. ამის პრობლემა კი ნამდვილად არის. მეორეს მხრივ, მასმედიის საშუალებით განათლებული, ინტელიგენტი ადამიანების საჯარო სივრცეში გასვლა უნდა ხდებოდეს, შესაბამისი ლექციების წაკითხვაა საჭირო. ადამიანის სულს, რომელიც ღვთაებრივი საწყისის მატარებელია, ახასიათებს აი ამ მატერიალურზე ამაღლება. ადამიანმა უნდა შექმნას კულტურა, ზოგადად, შემოქმედებითი უნარების დახვეწა ამართლებს ადამიანურ ყოფას. მიქელანჯელო, რომელიც არა მარტო დიდი ხელოვანი იყო, არამედ, ღრმად და მისტიურად მოაზროვნე, ამბობს, რომ ადამიანის სული უნდა გათავისუფლდეს საგანთა და მოვლენათა ტირანიისაგან და მან უნდა შეჰქმნას რაღაც ფასეულობა. შემოქმედებითი უნარები უნდა განვითარდეს მასში და სწორედ შემოქმედებითი უნარების განვითარებით მართლდება ადამიანის არსებობა. მისივე თქმით, შემოქმედი ადამიანი ცდილობს, თავისი ხელოვნებით, აზროვნებით, შემოქმედებით უკეთესი სამყარო შემოგვთავაზოს. ასევე მახსენდება პლატონის გამონათქვამი, რომ ადამიანმა თავისი სიცოცხლით მშვენიერება უნდა შვას.

_ **ვან გოგის ფრაზა გამახსენდა: "თანდათან ვრწმუნდები, რომ ღმერთზე მსჯელობა მის მიერ შექმნილი სამყაროს მიხედვით არ შეიძლება, იგი ხომ მისი უხეირო ეტიუდია." არადა, როცა ადამიანი ვან გოგის ნაწარმოებებს ხედავ, "ვეფხისტყაოსანს" კითხულობ, ნიკორწმინდას, როგორც ძეგლს შესცქერი, ან გალაკტიონის "ქებათა-ქება ნიკორწმინდას" კითხულობ, სულაც არ არის ეს სამყარო "უხეირო ეტიუდი"...**

_ წელან ვახსენე იოსებ რატცინგერის ცნობილი ფრაზა. ეს ყოფილი კათოლიკე პაპი იყო, ბენედიქტე მე-16, რომელიც შემდეგ გადადგა პაპის კათედრიდან, მას აქვს საოცარი ნათქვამი: სამყარო ღმერთის თავგადასავალია. მახსენდება ანტიკური ფრაზა, რომელიც სამყაროს ეპითეტად გამოდგება: კოსმოსი, რაც პირდაპირი თარგმანებით ნიშნავს მშვენიერებას. ანუ ჯერ კიდევ ანტიკურ ხანაში სამყარო აღიქმებოდა, როგორც მშვენიერ გამოხატულებად, ღვთაებრივ შესაქმედ და აღვიქვამ სამყაროს, როგორც მშვენიერებას. როგორც ღვთის განსაკუთრებულ შესაქმეს, შემოქმედებას, რომელშიც ძალიან დიდი სულიერი სიღრმეები და იდეები შეიძლება ამოიკითხო. მადლობა ღმერთს, რომ ამ სამყაროს მკვიდრები ვართ. ადამიანმა საკუთარ თავში უნდა აღმოაჩინოს ეს მშვენიერება. ადამიანს აქვს ეს ღვთისგან მინიჭებული ავტონომიურობა, თვითმყოფადობა. მთავარია, შენ როგორ განავითარებ შენს შემოქმედებით და ინტელექტუალურ უნარებს, როგორ განაღმრთობ, როგორ განაწმენდ შენს ცნობიერებას. წმინდა და მაღალი ცნობიერებით ადამიანი უახლოვდება სწორედ სამყაროს ღვთაებრივ იდეაში აღქმას და მისთვის სამყარო ხდება მშვენიერების საგანი.

_ **ამ საუკუნეში კომპიუტერმა დიდი დარტყმა მიაყენა წიგნს. როგორ უნდა გადაირჩინოს წიგნმა თავი? გამომცემლობებსაც გაუჭირდათ, არც ბიბლიოთეკებში დადიან...**

_ არც ძალიან სკეპტიკური ვიქნები, თუმცა, გულწრფელად რომ ვთქვათ, წიგნს მართლაც შეექმნა პრობლემები. კომპიუტერს თავისი ღირებულება აქვს. არ მიყვარს ცალსახად, ერთმნიშვნელოვნად და აპელაციის გარეშე ტექნოლოგიური მიღწევების უარყოფა. ესეც ადამიანის შემოქმედებაა. მასაც აქვს პლუს-მინუსი. წიგნს თავის განსაზღვრული ადგილი უნდა ჰქონდეს ადამიანის ცხოვრებაში, კომპიუტერს _ თავისი. კომპიუტერის და ინტერნეტის საშუალებით ძალიან ბევრ შემეცნებით გადაცემას ვუყურებ და შემეცნებას ვიღრმავებ. მადლობა ღმერთს, მრავალი გამომცემლობა არსებობს. განსაკუთრებულად გამოვყოფდი "დიოგენეს", "პალიტრა L"-ს, "ინტელექტს". ამ გამომცემლობებს ძალიან კარგი პროექტები აქვთ. მაგრამ პრობლემა ალბათ, ის მატერიალური სიდუხჭირეა, რომელიც სოციუმში არსებობს და ადამიანს არ აქვს შესაძლებლობა, ეს ძვირფასი წიგნები იყიდოს. ეს გამომცემლობებიც თავის მხრივ სცოდავენ (ეს ყველას არ ეხება) იმით, რომ მარკეტინგული გათვლებით ხელმძღვანელობენ, რამდენად გაყიდვადი, მოთხოვნადი იქნება წიგნი. თუმცა, შეიძლება ეს დასაძრახი არ იყოს. წიგნი ის ფასეულობაა, რომელიც ყველას უნდა მიეწოდოს და ერთგვარი მეთოდოლოგია უნდა შემუშავდეს, რომ საზოგადოებისათვის წიგნის მიწოდება მოხერხდეს, ალბათ, მკითხველიც მეტი იქნება. ახალგაზრდებს, ახლობლებს ხშირად შემოუჩივლიათ ჩემთვის: კი გვინდა წიგნის ყიდვა, მაგრამ საშუალება არ გვაქვსო.

_ **რომელი მწერლების და პოეტების წაკითხვას ურჩევთ თქვენს შვილებს?**

_ ზღაპრის იდეა გაუხუნარია, ყველა ზღაპარში სიკეთისა და ბოროტების ჭიდილია და ბოლოს, რა თქმა უნდა, ჰეპი-ენდით, ანუ კეთილი დასასრულით სრულდება. ძალიან მომწონს ეკზიუპერის "პატარა უფლისწული", საოცარი მარტივი და ღრმა ენა აქვს ნოდარ დუმბაძეს. იმდენად ღრმა და მიუწვდომელია გალაკტიონი, ჩემი ბავშვები ჯერ ვერ გაიგებენ მას. გურამ დოჩანაშვილს გამოვყოფდი, დიდ პატივს ვცემ რატი ამაღლობელს, ბესიკ ხარანაულს, ზვიად რატიანს...

_ **შეიძლება, ყველა პოეტზე ზუსტად წარმოდგენა არა მაქვს, მაგრამ ზვიად გამსახურდიას პოეზია საოცრად განმსჭვალულია რელიგიური მოტივებით, სასულიერო თემატიკით...**

_ წამიკითხავს ზვიად გამსახურდიას ესეები, ლექსები, "საქართველოს სულიერი მისია", მისი ფენომენი განსაკუთრებულია, ის იყო უდიდესი მოაზროვნე, ღრმა პატრიოტი, კულტურული, ინტელექტუალური პიროვნება ლოცვებშიც ვიხსენიებ მას, როგორც განსაკუთრებულ პატრიოტს.

_ **არაერთ რესპონდენტს უთქვამს, რომ ერთმანეთისთვის მოუპარავთ წიგნები. ქრისტიანულ-მორალური თვალსაზრისით, მსგავსი საქციელი, ალბათ, არ არის გამართლებული, წიგნის ქურდი მიიჩნევა ქურდად?**

_ ცოტა რთული კითხვაა, მით უმეტეს, მოძღვრისთვის. თუ მფლობელს ეს წიგნი განსაკუთრებულ ფასეულობად მიაჩნია, შენ მას ართმევ და არ უბრუნებ, მაშინ ეს დასაძრახისია, მაგრამ თუ იმ ადამიანს ფორმალურად უდევს ეს წიგნი და არ სარგებლობს და მან, რომლისთვისაც ის ფასეულია, წამოიღო, ამ კონტექსტში შეიძლება, გაგებით მოეკიდოს ამ ქმედებას ადამიანი.

_ **მიმართეთ იმ ახალგაზრდებს, ვისაც არ უყვართ წიგნები...**

_ წიგნის კითხვა, როგორც აღვნიშნე, უდიდესი სიამოვნებაა პირადად ჩემთვის. ჩვენი სამშობლოს მომავალ თაობას ვურჩევდი, წიგნთან აქტიური შეხება ჰქონდეთ. წიგნში არის გადაშლილი სამყარო თავის წარსულით, აწმყოთი, მომავლის ალბათობებით. წიგნში იკითხება საკაცობრიო თავგადასავალი, წიგნი არის უერთგულესი მეგობარი. ამას წინათ ვუსმენდი ცნობილ კლასიკურ ფილოლოგს, ლევან ბერძენიშვილს, ის მხატვრული ლიტერატურის შესახებ საუბრობდა და ბრძანა: "ვისაც ბევრი ლიტერატურა აქვს წაკითხული, ის ცხოვრებაში უიმედოდ არასოდეს იქნება და თავს არასოდეს მოიკლავს"-ო. იმდენად დიდი შინაგანი იმპულსებისა და რესურსების მომცემია წიგნის კითხვა, იმდენ შემართებას და მოტივებს აყალიბებს ადამიანში. წიგნი არის იდუმალი მომავალი რეალობის შემომთავაზებელი ადამიანისათვის. შეიძლება ითქვას, ფანტასტიკურ სამყაროშიც გადავყავართ წიგნს. ფანტაზია ადამიანის არსებობისათვის აუცილებელია. ამას წინათ ერთმა ფსიქოლოგმა თქვა: თუ ადამიანს წარმოსახვის და ფანტაზიის უნარი არ ექნება, ის წარსულსა და აწმყოში ჩარჩება და მისი ცხოვრება საზრისს დაკარგავსო. ფანტაზია და მომავლის ალბათობის შეგრძნება, ადამიანში აყალიბებს ცხოვრებისეულ მოტივაციას. ამდენად, ჩვენ შეგვიძლია, გავიმდიდროთ ჩვენი ცნობიერება, ინტელექტი და სულიერება წიგნის კითხვით.

ახალი ლექსები

ჩემი ბავშვობის ოცნება

ისევ ისა ხარ, მძივებად
და ზღაპრად მარცვალ ასხმული,
მოვდივარ, მომყავს ნანატრი
შენი უმწიკვლო ასული.
აქ ამ გზით ვეღარ გამოველ,
ამავსო ეკალ-ნარითა,
ჩემი ბავშვობის ოცნება
მიდის, მიცურავს ნავითა!

აღდგომაა!

ქრისტე აღდგა! ქრისტე აღდგა!
ეკიდება სანთლებს ცეცხლი,
რა ვქნა, მაინც ყველას გვერგო,
იუდასგან თითო ვერცხლი.
ისევ მაინც ერთმანეთს ვჭამთ,
ჰკივის წინაპართა ძვლები,
წყაროს თაეზე პურს არიგებს,
ბარაბა და მისი ძმები.
ხმა დამეხშო შენზე ლოცვით,
სიმწრით ვუხმობ იადონებს,
აბა, როგორ გაგინათო,
ვარდიც მტოვებს, იაც მტოვებს.
აღდგომაა! მიხარია!
აცისკარდა ჩანგი მერცხლის,
ქრისტე აღდგა! ჭეშმარიტად!
ქვას გახეთქავს წმინდა ცეცხლი.

ია თრთოდა...

ძმის ავთანდილის ხსოვნას.

ქარი ქროდა! ქარი ქროდა!
ერთი გოგო ქარში რბოდა,
გამვლელსა და გამომვლელსა
თავის სულს და გულს ანდობდა.
მერე, ჰოდა! მერე, ჰოდა!
ეს გოგონა ძმას უხმობდა,
ძმა ალვებთან სულს ებრძოდა,
ქარი ძრწოდა! ქარი ძრწოდა!
მერე, ჰოდა! მერე, ჰოდა!
ქარი ტკივილისგან კრთოდა,
და გოგონას დანახვაზე
ია თრთოდა... ია თრთოდა...

შუქჩრდილი დედაჩემისა!

მინდა, შენ გგავდე, მნათობო,
ვარსკვლავო ლურჯკაბიანო,
შუქჩრდილო დედაჩემისა,
ფიქრებო გულდარდიანო!
თვალთა ეგ ლურჯი ციმციმი
მინათებს სულის ჭიუხებს,
სხივები ნაიარალი
გულის ჭრილობებს შემიხვევს.
შემომაწვება დროდადრო
ღრუბელი შავნაღვლიანი,
წამწამზე დამეკიდება
თეთრი ყვავილი ცვრიანი.
მინდა, შენ გგავდე, მნათობო,
ვარსკვლავო ლურჯკაბიანო,
ნეტავი შენთან მამყოფა
ამაღამ იის ციალო!

ისევ ვუსმენ მხოლოდ გულსა

ქვიჯაში რომ პურს ვაწებდი,
სულ სხვა გემო ჰქონდა სუნელს,
ნეტავ იმ დროს, რომ მეძახდი
ცოტა გიჟს და ცოტა სულელს.
ახლა ცაზე დავაბიჯებ,
და ღრუბელში ვაწებ პურსა,
ისევ ისეთივე ვარ და
ისევ ვუსმენ მხოლოდ გულსა.

ჩითის კაბა

იცი, კარგო? თუ დაგჭირდა,
გულს მოგართმევ ბროლის თასით,
ამ ბორკილით ძლივს მოვდივარ,
თან დამყვება ბედი თარსი.
ვეღარც ხმა ვერ მოგაწვდინე,
ვეღარც ალი ჩემი სანთლის,
იცი? როგორ მტკივა ჩინი
უსინათლო შენი სახლის,
ცოტაცა და, წაიშლება
ცაზე ჩემი ნაკვალევი,
ჭრელა-ჭრელა ჩიტს ეცმევა
ჩითის კაბა ნაწვალები.

მაყვალა ჩირგაძე

ვაჟა-ფშაველას

ფიცვერცხლ ნაჭამი, მთვარე ნახანჯლარი,
ლექსებს გიკურთხებდა ლოცვად და ფსალმუნად,
და შენი სხეული ლექსით ნახანძრალი
წამებულ სამშობლოს დაედო სალბუნად.
და ვარსკვლავები ჭრელი მძივებია,
მარად მოკიაფე ხევსურის ტალავარზე,
ჯვაშანი ეცვათ და არ სძინებიათ
და ერთად იბრძოდით ბახტრიონის გალავანზე.
ბრძოლაში ნაჭედი მზის ფარი დიადი,
ცხელი სხივებივით თავს გადგა მწყემსებად,
და შენი სტრიქონებით დაკეჭნე წყვდიადი
და შენი ცრემლები აქციე ლექსებად.
ჭიუხვში შემოგხვდი დაყრდნობილს შუბზე
შეჯავშნულსა და წელზე მახვილით,
თეთრი ფაფახით მაგ წმინდა შუბლზე
მარად ისმოდეს შენი ძახილი.

***

მგლებს ჩასდგომიათ
მთვარე თვალებში,
ტყეში იელვა ბასრმა ეშვებმა,
ბედაურები თრთიან თავლებში
და სისხლიანი ღამე ეშვება.
მინდა, საბრძოლოდ ხანჯალი ვიძრო
ჩემი მამულის გადასარჩენად,
თუ ვერაფერი შევიძელ, ვინძლო,
სიკვდილი მიჯობს
ცოცხლად დარჩენას.
თუ დავამარცხე მტერი გვემული,
ამდენ სიავეს გავუძელ ერთმა,
დაგიბრუნდებით გამარჯვებული
და თუ მომკლავენ,
მაცხონოს ღმერთმა.

***

გველეშაპს ჩაარჭო ლახვარი ხახაში,
წმინდანმა აღაპყრო თვალები ცისკენ,
და წმინდა ღვთისმშობლის კალთაში
იმედით გვიცქერის ქრისტე.

ინვალიდ ბავშვებს

ბავშვურ ასაკში
ბავშვობას ნატრობთ,
თქვენი სევდაა ჩემი ბადიში,
ჭირთა თმენაში არა ხართ მარტო,
ცრემლით სავსეა დედის ბალიში.
თქვენი ოცნების ნაზი კანკელი
ბავშვურ ფერებით შეიმოსება,
წმინდაო, გახსენ ყველა სარკმელი,
ფრთები გაშალონ ანგელოზებმა.
თქვენთვის ლოცვაში
ცრემლად დავშრებით,
გიცავთ ღვთისმშობლის მადლი, სინაზე,
ჯანმრთელად იყვნენ ყველგან ბავშვები
ამ ცოდვით სავსე დედამიწაზე.

მთვარის სონატა

მედიდური, მძიმე ნაბიჯით,
თავდახრილი და ჩაფიქრებული,
ყვავილთ ხეივანს გვერდით ჩაუვლის
და სილამაზით ტკბება იმ ღამის.
ქალი? რა ქალი, თვალწინ რომ უდგას,
ნიავის ქროლვაც, ვერ შლის ამ სახეს,
მისი სურნელი ისევ რომ ათრობს,
თვალნი ელვარე ციცინათელობს.
გულში ჰანგები თბილად ეღვრება,
ჩქარობს, ნოტებად აქციოს იგი,
ისხმება სათნო ბგერათა რიგი,
უსაზღვრო ვნება მუსიკის ირგვლივ.
დასრულდა მგზნებარე ჰანგი სამოთხის,
ატაცებული ზეცად ფრიალით,
სატრფოსა უძღვნა მთვარის სონატის
გამოუთქმელი გენი ღვთაების.

ნათელა სტეშენკო

ჭაუნიკი

დათა კუკანია № 1 საჯარო სკოლის მე-7 კლასის მოსწავლეა, სხვათა მსგავსად თავისი ბავშვური განწყობა, განცდა თუ ემოცია ფურცელზე ჩუმად გადააქვს, ამჯერად მისი ერთ-ერთი ლექსი ჩვენი გაზეთის ფურცლებზეც აღმოჩნდა. ვუსურვებთ დათას, დიდხანს უერთგულოს მას მუზამ, რომ ბევრი ლამაზი ლექსი შეჰქმნას.

მეგობრებს

ჩვენი თაობის ბიჭები
ბევრ რამეებში ვიჭრებით,
თუ მასწავლებლებს მოვუსმენთ,
კარგი ბიჭები ვიქნებით.
მანდატურის გამოჩენას
ცელქი ბავშვი ემალება,
მე კი მშვიდად ვეგებები,
არც არაფერს მედავება.

ბედაურს

ჩემო თეთრო ბედაურო, შენ ხარ მუზის გაცოცხლება,
დაგივიწყო, საიქიოს ჩემი სული არ ცხონდება.
ყოველ დილით ერთად ვიწყებთ პოეზიის მარულას,
და იმარჯვებს, სიხარული, დარდი გადამალულა.
არ მჩვევია, შენზე შიშით მე მათრახის ჩვენება,
და ორივეს გვიხარია მაღლა ცაში ჭენება.
მაგ ცეცხლოვან თვალებიდან კრძალვა შემომთავაზე,
რომ ყაბახში გამარჯვებულს ხელი დაგკრა გავაზე.
ოფლი ხშირად შეგშრობია შრომით ნაალაფარი,
ღამით ისევ დაუწნიათ ჭინკებს შენი ფაფარი.
მრავალ ომში გამოცდილო, ვაჟკაცების მშვენებავ,
სასიკეთო იყოს ჩვენთვის მარად შენი ჭენება!

იმ ქალს

ჟამთასვლამ სახე დაგიჭკნო ვარდის,
შენი თვალებიც არ ჰგავს მაშინდელს,
და როს გიხილა ბულბულმა დარდით,
სხვას მიაშურა კრძალვით მაშინვე.
შენმა სიტურფემ გალეწა კალო,
შენ კი წარსულით იღვწი და შფოთავ,
მაგრამ ხომ იცი, ლამაზო ქალო,
სიტურფეს როგორ უმღერა შოთამ!
ოაზისები, გულს ნახარები,
დროს მიაქვს უკან, არვის უბრუნებს
და შენს მაგივრად სულ სხვა ვარდები
თრთოლვით ელიან თავის ბულბულებს.
შენ კი ცის წმინდა სასუფეველში
შენი სიტურფით კელავაც იგალობ,
აქ შენს ლეგენდას ლამაზ ფერებში
შემოგვინახავს ცივი ფიქალო.

***

ქეიფის დროს მეც მიჭირავს ყანწი
და ფიცის დროს ხელი მიდევს გულზე,
როგორც ყველა ღირსეული კაცი,
მეც ვღიღინებ ჩუმად სიყვარულზე.

გივი ფრანგიშვილი

საპატრიოტის წმინდა მეფე დავით აღმაშენებლის სახელობის საკათედრო ტაძრის მხატვარს, პატრონ დავით მორგოშიას

***

ხატე ხიდები, ხატე ხედები, ხატე ბავშვები, ხატე დიდები,
ხატე სიცოცხლით სავსე ღიმილი,
ხატე ცრემლებით სავსე თვალები,
ხატე ნიკალა წელში მოხრილი,
ღამენათევი და ნამთვრალევი
მერე ლაჟვარდში კვალე ბილიკი,
ლურჯ გუმბათებზე ხატე ხატები,
როდესაც ზეცას შეუერთდები
შენც მაგათ გვერდით დაიხატები.

***

ვიღაცამ წაშალა ფერები და დარჩა შავთ-თეთრი კლავიში,
როდესაც ნისლები დიოდნენ ზეცაში, რატომ არ გამიშვი?
მთვარე, ვით მიმკრთალი მირაჟი,
გარემოს ბინდები ფარავენ,
დაძრწიან უსახო ლანდები და დაღლილ იმედებს მპარავენ,
სევდით და ტკივილით მოსილი იალქანს ვერასდროს გაგიშლი,
ვიწვიმებ მწუხარე წვეთებად, როს ქარი ღრუბლებად ამიშლის,
ვიღაცამ წაშალა ფერები და დარჩა შავ-თეთრი კლავიში.

***

ჩიტი არ გალობს, გალიაში არე მკვდარია,
რადგანაც ზეცას ვერ შეახლის ფრთათა ფერადებს,
თავის გულისსწორს ვერ იპოვის ასკილის ტევრში,
ნაცრისფერ სიზმრებს ვეღარავის გაუფერადებს,
სისხამ ალიონს ვერ შეხვდება ლაღი ჟღურტულით,
ლურჯ სადამოებს ვერ გაატანს ცისფერ სონეტებს,
ზის სევდიანი, მოწყენილი, გულგატეხილი,
კენკავს ხსოვნაში ამოქექილ ძვირფას მომენტებს.

***

ცას ნამგალი გადაუვლის,
ყაყაჩოთა ველი ცელოს,
რათა ციცინათელებად
შეუსიოს სამლოცველოს.

***

ყრუა ქვეყანა, ჰეი, გესმით? ვინ ხართ და სად ხართ?
ზარები რეკავს გაბზარული ხმათა ხმოვნებით,
ცივი ნაცრიდან წამოვდექი ნალეწი ქართა,
გულის სიღრმეში, ვიცი, ყველას გემახსოვრებით,
ცას სცვივა ცრემლი, ცა ძმიმეა რკინის გრდემლივით,
სისხლით მორწყული მიწის წუხილს არ გრძნობს არავინ,
და დადის ჩუმად ფეხაკრეფით გულშემზარავი,
რუხი აჩრდილი მიძინებულ სულთა მპარავი.

***

ტკივილმა გული უნდა გაბზაროს,
ლოდინმა მზერა უნდა დაღალოს,
წუხილმა უნდა აავსოს სივრცე,
ცრემლებმა სახე უნდა დაღაროს,
რომ შემოვიდეს სულში ნათელი,
ყოველი არსის ენა გაიგო,
მერე მიწასთან უნდა გასწორდე,
რათა ბრინჯაოს ძეგლად აიგო.

აბუნა _ ღვინის ღმერთი ძველ საქართველოში

თვრება აგუნა, რადგან ბედმა ასე არგუნა,
ჭეშმარიტება მოიძიოს ზედაშეს ფსკერზე,
ტაბლაზე უდევს ხაჭაპური, მზეა ჩახჩახა,
გრილი ხელადა ძმაკაცივით უდგია გვერდზე,
მერე ჰანგებად დაიღვრება ლურჯი საღამო,
მთვარის ჰამაკი დაამწიფებს სიზმრებს მტევნებად,
დილით უღელში გაებმება ხარი ნიკორა
და ვაზის მწკრივებს გუთნისდედად აედევნება.

ჯემალ ტაბიძე

“არავინ იცის, რა გამოვა რისგან”

ქეთევან ჭელიძე

ვისაც ერთხელ კი მაინც უნახავს, როგორ ცეკვავს ქრისტინე ზაქრაძე, არასდროს დაავიწყდება იგი. მნიშვნელობა არა აქვს, ხარ თუ არა სამეჯლისო ცეკვების მოყვარული, მისი პლასტიკა, შესრულების მაღალი ტექნიკა, მუსიკალობა, შემოქმედითობა, ინდივიდუალობა გულგრილს არ დაგტოვებს. მიუხედავად იმისა, რომ ცნობილი ქორეოგრაფის, ნინა ბებიას შვილია, მოცეკვავე გამხდარიყო, მიზნად არასდროს დაუსახავს. თუმცა, მდგომარეობამ მოიტანა და სამეჯლისო ცეკვებით გატაცება პროფესიად ექცა.

ნიჭიერი გოგონა უყურადღებოდ არ დარჩენია საქართველოს სპორტისა და

სპორტული ხელოვნების ეროვნული ფედერაციის მაშინდელ თავმჯდომარეს, რამაზ არჩაიას და იგი იმერეთის რეგიონში ფედერაციის წარმომადგენლად დანიშნა.

“ ფოთში ვისვენებდი და პარალელურად იქვე სამეჯლისო ცეკვებზე დავდიოდი. იმ წელს მე-11 კლასში გადავედი. მთელი ის პერიოდი დატვირთვით ვიმუშავე, მოვემზადე და გამოცდებიც წარმატებით ჩავაბარე. მსაჯი-ქორეოგრაფის წოდება მომენიჭა. იმავე ზაფხულს ვიმსაჯე. ძალიან განვიცდიდი _ უნდა შეაფასო მოცეკვავე და ამ დროს შენ თვითონ დამწყები ხარ”. _ გვიყვება ქრისტინე.

სკოლა რომ დაამთავრა, გადაწყვიტა, პროფესიონალი მოცეკვავე გამხდარიყო, მისაღები გამოცდები ფიზკულტურისა და სპორტის სახელმწიფო ინსტიტუტში მწვრთნელთა ფაკულტეტზე სპორტული ცეკვების განხრით ჩააბარა. იმავე წელს მონაწილეობა მიიღი კუბური ცეკვების საქართველოს ღია ჩემპიონატში. თავის მეწყვილესთან, გიგა წულეისკირთან ერთად, რომელიც ამჟამად ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტია, ჩემპიონი გახდა.

სწავლის დამთავრების შემდეგ სამტრედიაში დაბრუნდა და შოუ-ბალეტ “ფანტაზიაში” დაიწყო მუშაობა. ანსამბლს მაშინ ქალბატონი ნინა ბებია ხელმძღვანელობდა. წლების წინ იგი შვილმა შეცვალა, მაგრამ დედა კონსულტაციას ყოველთვის უწევს მას და პროფესიულ რჩევებს აძლევს. ჩემი მარჯვენა ხელიაო, _ გვიდასტურებს ქრისტინე.

ტრადიციული საზოგადოებისათვის მიუღებლობის გამო დასაწყისში ანსამბლს ბევრჯერ მოუხდა მორალური ზეწოლის გადატანა. წლებთან ერთად სპორტული ცეკვების დაუფლების მსურველებმაც იმატეს და დღეს “ფანტაზია” არა მარტო სამტრედიის, ქვეყნის მასშტაბითაც წარმატებულია. იგი საქართველოში არსებული ანსამბლების ხუთეულში შედის და სხვადასხვა კონკურსსა თუ ჩემპიონატში მონაწილეობს. ჰყავთ ლაურეატები, პრიზიორები, გრან-პრის მფლობელები სოლო თუ ჯგუფურ გამოსვლებში.

თვითონ ქრისტინე სპორტისა და სპორტული ხელოვნების ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტია იმერეთის რეგიონში, ასევე მსაჯი-ქორეოგრაფი და მწვრთნელი, არის აგრეთვე, ნაბაკევის საჯარო სკოლაში სპორტის მასწავლებელი.

“ფანტაზიის” ყველაზე დიდ გამარჯვებად ახალგაზრდა ხელმძღვანელი “ნიჭიერში” მონაწილეობას თვლის. “ვფიქრობდი, ეს ზერელე პროექტი იქნებოდა. ასე არ აღმოჩნდა. მეორე ეტაპზე რომ გადავედით, დილის 10 საათიდან გვიან ღამემდე თითქმის შეუსვენებლად ვმუშაობდით. მოგეხსენებათ, მაშინ მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის შენობა როგორ მდგომარეობაში იყო, ამინდის ცვალებადობა საქმეს გვირთულებდა. შემდეგი ეტაპი ვერ გადავლახეთ, მაგრამ მეამაყება, რომ ამ პროექტში ჩვენი რაიონი კარგად წარმოვაჩინეთ”. _ აღნიშნავს ჩვენი რესპონდენტი.

ახლა კი იმის შესახებ, როგორ აქცია “ფანტაზიამ” თავისი ფანტაზიები რეალობად ეროსი მანჯგალაძის სახელობის კულტურის ცენტრის სცენაზე.

ძველი თბილისის, რომანტიკოსების ქალაქის გაცოცხლება მინდოდაო, ქრისტინემ; გრიგოლ ორბელიანისა და ტატოს აუხდენელი სიყვარულით გათანგულის, მანანა ორბელიანის სალონური ცხოვრებით განებივრებულის, ორსახოვანი _ აზიასა და ევროპას შორის გახლეჩილი ქალაქის. ასეთი თბილისი წარუდგინა პუბლიკას წამყვანმა, შოთა პაპავამაც და კიდევ ბევრი “გასახსენებელი წარსული”.

“გინდ მეძინოს, მაინც სულში მიზიხარ!” _ ყმასავით ერთგულებას ეფიცება ყარაჩოხელი აქ ქალს, ისტორიული ქალაქი კი სხვადასხვა ენაზე ხმაურობს.

ნიკოლოზ ბარათაშვილი ისევ მიილტვის “წყლის პირს სევდიანი ფიქრთ გასართველად”. _ ეს და კიდევ ბევრი რამ ხდება სცენაზე. ძველი თბილისის დეკორაციები და მონაწილეთა კაბებზე გადმოტანილი ქალაქის ხედები _ ყოველივე წარსულში გაბრუნებს, მის ნაწილად გაქცევს. ლირიული ტანგო, ნელი ვალსი, ბევრი მუსიკა და ლექსი _ მაყურებელი ოვაციებს ვერ ფარავს.

“ახ! ჩემო სოფიო, სად არის! ნეტავ ვახსოვარ, თუ შარშანდელს თოვლსავით არღა ვმჰყოფობ იმისთვის, _ ბედს უყურეთ, მე ვარ დასავლეთს, ის აღმოსავლეთს, როდისღა უნდა შევიყარნეთ?” _ ფრაზები შეყვარებული გრიგოლ ორბელიანის წერილიდან და მანანა ორბელიანის პასუხი პოეტს: “ ...სასიამოვნო შენი სოფიო აქ არის და ვნახე”. _ პატარა მოცეკვავეები გრაციოზულობით გადმოსცემენ სიყვარულის ისტორიებს და იმ ტრაგიზმს, მანანა ორბელიანის პოეტისადმი მიწერილ ბოლო წერილში ბედისწერად რომ გაიჟღერა: “შენი საყვარელი სოფიო გათხოვდა!”

რომანტიკოსების თბილისში სტკიოდათ წართმეული სამშობლო: “ძიავ, ყაბახი, სამშობლო შენი, / წაგართვა ავის ენისა გესლმან”.

მერე ტატოს “შერნის” პოეტურ სტრიქონებს “არ აქვს სამძღვარი” და ქრისტინე მასწავლებლის მოსწავლეებიც დახვეწილი მოძრაობებით ცდილობენ, პოეტის სულიერი მღელვარება გადასდონ დარბაზს.

ღონისძიების პირველ ნაწილს ბუნებრივად მოსდევს მეორე და აი, უკვე მანანა ორბელიანის სალონის სტუმრები ვართ.

“მანანა იყო მეფედ ქართულის ზნეობისა და გემოვნებისა. ამ ქალის სალონში იკრიბებოდა, რაც რამ იყო ტფილისში წარჩინებული: მწერლობაში, ხელოვნებაში და მმართველობაში”.

ასეთი დახასიათების შემდეგ ლექსის, “ხმა იდუმალის” ფონზე “ფანტაზიელები” ცეკვით ეძებენ პასუხს, თუ “რად აქვს გულს ესე ჩუმი ნაღველი?”

კიდევ ერთი ამბავი სიყვარულისა _ ნინო ჭავჭავაძისა და ალექსანდრე გრიბოედოვის.

“...აი, შენ ნახავ, მე დავწერ სიყვარულის ახალ ბიბლიას, სიყვარულის ღვთაებრივ სახარებას. მე მას ყველაზე მშვენიერ სახელს _ ნინოს დავარქმევ... ჩემი სიყვარული ჩემზე დიდია და მე ის წამლეკავს. თუ შენ ხელი არ შემაშველე...” _ მაყურებლის წინაშე მდგარი კითხულობს ნინო ჭავჭავაძე გრიბოედოვის ციხიდან გამოგზავნილ წერილს და სიყვარულიც ცეკვით იწვის სცენაზე.

საქართველოზე რუსი მწერლებისა და პოეტების ლექსებისა და მოგონებების გაცნობამ უკარნახა ქორეოგრაფს პუშკინის ლექსი შეეტანა რეპერტუარში.

ისევ ბარათაშვილის “როს ბედნიერი” და “საყურე”, ისევ ცეკვა და მუსიკა.

კონცერტის ბოლოს “ვპოვე ტაძარი” _ განაჩენი, რომლის იქეთ ამაოა ყოველივე: “ვეღარ აღმიგო სიყვარულმა კვალად ტაძარი... და დავალ ობლად ისევ მწირი მიუსაფარი”.

ქორეოგრაფისათვის ყველაზე სასიამოვნო სიტყვები: “კიდევ მინდოდა, კონცერტი გაგრძელებულიყო!” _ ქებას არ იშურებს მაყურებელი.

სამეჯლისო ცეკვების ანსამბლი ერთი წელი მუშაობდა პროექტზე, საათი და 15 წუთი რომ გაგრძელდა სცენაზე. ღონისძიება, რომლის სახელწოდებად ნიკოლოზ ბარათაშვილის სიტყვები: “არავინ იცის, რა გამოვა რისგან” გამოიყენეს, თითქოს ერთი შემოქმედებითი ამოსუნთქვა გახლდათ. მაყურებელმა თბილად მიიღო იგი. მაღალი შეფასება მისცა მას ფედერაციის თავმჯდომარემ თემურ მეტრეველმა.

“მართლაც არ ვიცოდით, რა გამოვალსი, ბევრი მუსიკა და ლექსი _ მაყურებელი ოვაციებს ვერ ფარავს.

“ახ! ჩემო სოფიო, სად არის! ნეტავ ვახსოვარ, თუ შარშანდელს თოვლსავით არღა ვმჰყოფობ იმისთვის, _ ბედს უყურეთ, მე ვარ დასავლეთს, ის აღმოსავლეთს, როდისღა უნდა შევიყარნეთ?” _ ფრაზები შეყვარებული გრიგოლ ორბელიანის წერილიდან და მანანა ორბელიანის პასუხი პოეტს: “ ...სასიამოვნო შენი სოფიო აქ არის და ვნახე”. _ პატარა მოცეკვავეები გრაციოზულობით გადმოსცემენ სიყვარულის ისტორიებს და იმ ტრაგიზმს, მანანა ორბელიანის პოეტისადმი მიწერილ ბოლო წერილში ბედისწერად რომ გაიჟღერა: “შენი საყვარელი სოფიო გათხოვდა!”

რომანტიკოსების თბილისში სტკიოდათ წართმეული სამშობლო: “ძიავ, ყაბახი, სამშობლო შენი, / წაგართვა ავის ენისა გესლმან”.

მერე ტატოს “შერნის” პოეტურ სტრიქონებს “არ აქვს სამძღვარი” და ქრისტინე მასწავლებლის მოსწავლეებიც დახვეწილი მოძრაობებით ცდილობენ, პოეტის სულიერი მღელვარება გადასდონ დარბაზს.

ღონისძიების პირველ ნაწილს ბუნებრივად მოსდევს მეორე და აი, უკვე მანანა ორბელიანის სალონის სტუმრები ვართ.

“მანანა იყო მეფედ ქართულის ზნეობისა და გემოვნებისა. ამ ქალის სალონში იკრიბებოდა, რაც რამ იყო ტფილისში წარჩინებული: მწერლობაში, ხელოვნებაში და მმართველობაში”.

ასეთი დახასიათების შემდეგ ლექსის, “ხმა იდუმალის” ფონზე “ფანტაზიელები” ცეკვით ეძებენ პასუხს, თუ “რად

აქვს გულს ესე ჩუმი ნაღველი?”

კიდევ ერთი ამბავი სიყვარულისა _ ნინო ჭავჭავაძისა და ალექსანდრე გრიბოედოვის.

“...აი, შენ ნახავ, მე დავწერ სიყვარულის ახალ ბიბლიას, სიყვარულის ღვთაებრივ სახარებას. მე მას ყველაზე მშვენიერ სახელს _ ნინოს დავარქმევ... ჩემი სიყვარული ჩემზე დიდია და მე ის წამლეკავს. თუ შენ ხელი არ შემაშველე...” _ მაყურებლის წინაშე მდგარი კითხულობს ნინო ჭავჭავაძე გრიბოედოვის ციხიდან გამოგზავნილ წერილს და სიყვარულიც ცეკვით იწვის სცენაზე.

საქართველოზე რუსი მწერლებისა და პოეტების ლექსებისა და მოგონებების გაცნობამ უკარნახა ქორეოგრაფს

ნალისტს, გიორგი გუგუშვილს სთხოვა მუსიკა, რომელიც მისი საავტორო გადაცემისთვის “ჩვენი ეზო” დაიწერა, ნება დაერთო, ღონისძიებაში გამოეყენებინა. ბატონმა გიორგიმ თხოვნა შეუსრულა და ღონისძიებაზე დასწრებაც აღუთქვა, მაგრამ თბილისში მომხდარი სტიქიის გამო მოსვლა ვერ შეძლო.

ქველმოქმედება ანსამბლის ხელმძღვანელისთვის მნიშვნელოვანია. იმ კონცერტსაც საქველმოქმედო დაარქვა და შემოსული თანხა დაზარალებულთა დასახმარებლად გადარიცხა. საუბარში დასძინა, რომ მსგავს ღონისძიებებში მონაწილეობაზე უარს არასდროს ამბობს.

შოუ-ბალეტ “ფანტაზიაში” 31 სხვადასხვა ასაკის ბავშვი ეუფლება სამეჯლისო ცეკვებს. პროექტში 31-ვე მონაწილეობდა.

“მიუხედავად იმისა, რომ სასწავლო პროგრამის მიხედვით მხოლოდ მე-3 კურსიდან შეიძლება ბავშვი სცენაზე გამოვიდეს, ამას არ დავუშვებ. თუ მას მონაცემები აქვს და სცენაზე დასაწყისშივე გამოიყვან, ეს სტიმულს აძლევს, უკეთესად ისწავლოს”. _ გვიხსნის პედაგოგი.

რომელიმე მათგანის გამორჩევა ეძნელება, ყველანი კარგები არიანონ. თუმცა, ანსამბლის სოლისტს, ლანა მეიშვილს, როგორც მომავალ ქორეოგრაფს, უპირატესობას ანიჭებს.

მკაცრია, მაგრამ უყვარს თავისი აღსაზრდელები, ენატრება, როცა ხანგრძლივად ვერ ხედავს მათ. ქრისტინეს შვილი ლუკაც ანსამბლში ცეკვავს და ღონისძიებაშიც აქტიურად მონაწილეობდა.

როგორც გვიხსნის, სამეჯლისო ცეკვებზე სამტრედიაში უმეტესად გოგონები დადიან, ბიჭები _ ნაკლებად. მაგრამ ეს, ალბათ, დროებითია, რადგან სამეჯლისო-სპორტულ ცეკვებზე მოთხოვნა იზრდება.

სპორტული ხელოვნების ეროვნული ფედერაციის მაშინდელ თავმჯდომარეს, რამაზ არჩაიას და იგი იმერეთის რეგიონში ფედერაციის წარმომადგენლად დანიშნა.

“ ფოთში ვისვენებდი და პარალელურად იქვე სამეჯლისო ცეკვებზე დავდიოდი. იმ წელს მე-11 კლასში გადავედი. მთელი ის პერიოდი დატვირთვით ვიმუშავე, მოვემზადე და გამოცდებიც წარმატებით ჩავაბარე. მსაჯი-ქორეოგრაფის წოდება მომენიჭა. იმავე ზაფხულს ვიმსაჯე. ძალიან განვიცდიდი _ უნდა შეაფასო მოცეკვავე და ამ დროს შენ თვითონ დამწყები ხარ”. _ გვიყვება ქრისტინე.

სკოლა რომ დაამთავრა, გადაწყვიტა, პროფესიონალი მოცეკვავე გამხდარიყო, მისაღები გამოცდები ფიზკულტურისა და სპორტის სახელმწიფო ინსტიტუტში მწვრთნელთა ფაკულტეტზე სპორტული ცეკვების განხრით ჩააბარა. იმავე წელს მონაწილეობა მიიღი კუბური ცეკვების საქართველოს ღია ჩემპიონატში. თავის მეწყვილესთან, გიგა წულეისკირთან ერთად, რომელიც ამჟამად ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტია, ჩემპიონი გახდა.

სწავლის დამთავრების შემდეგ სამტრედიაში დაბრუნდა და შოუ-ბალეტ “ფანტაზიაში” დაიწყო მუშაობა. ანსამბლს მაშინ ქალბატონი ნინა ბებია ხელმძღვანელობდა. წლების წინ იგი შვილმა შეცვალა, მაგრამ დედა კონსულტაციას ყოველთვის უწევს მას და პროფესიულ რჩევებს აძლევს. ჩემი მარჯვენა ხელიაო, _ გვიდასტურებს ქრისტინე.

ტრადიციული საზოგადოებისათვის მიუღებლობის გამო დასაწყისში ანსამბლს ბევრჯერ მოუხდა მორალური ზეწოლის გადატანა. წლებთან ერთად სპორტული ცეკვების დაუფლების მსურველებმაც იმატეს და დღეს “ფანტაზია” არა მარტო სამტრედიის, ქვეყნის მასშტაბითაც წარმატებულია. იგი საქართველოში არსებული ანსამბლების ხუთეულში შედის და სხვადასხვა კონკურსსა თუ ჩემპიონატში მონაწილეობს. ჰყავთ ლაურეატები, პრიზიორები, გრან-პრის მფლობელები სოლო თუ ჯგუფურ გამოსვლებში.

თვითონ ქრისტინე სპორტისა და სპორტული ხელოვნების ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტია იმერეთის რეგიონში, ასევე მსაჯი-ქორეოგრაფი და მწვრთნელი, არის აგრეთვე, ნაბაკევის საჯარო სკოლაში სპორტის მასწავლებელი.

“ფანტაზიის” ყველაზე დიდ გამარჯვებად ახალგაზრდა ხელმძღვანელი “ნიჭიერში” მონაწილეობას თვლის. “ვფიქრობდი, ეს ზერელე პროექტი იქნებოდა. ასე არ აღმოჩნდა. მეორე ეტაპზე რომ გადავედით, დილის 10 საათიდან გვიან ღამემდე თითქმის შეუსვენებლად ვმუშაობდით. მოგეხსენებათ, მაშინ მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის შენობა როგორ მდგომარეობაში იყო, ამინდის ცვალებადობა საქმეს გვირთულებდა. შემდეგი ეტაპი ვერ გადავლახეთ, მაგრამ მეამაყება, რომ ამ პროექტში ჩვენი რაიონი კარგად წარმოვაჩინეთ”. _ აღნიშნავს ჩვენი რესპონდენტი.

ახლა კი იმის შესახებ, როგორ აქცია “ფანტაზიამ” თავისი ფანტაზიები რეალობად ეროსი მანჯგალაძის სახელობის კულტურის ცენტრის სცენაზე.

ძველი თბილისის, რომანტიკოსების ქალაქის გაცოცხლება მინდოდაო, ქრისტინემ; გრიგოლ ორბელიანისა და ტატოს აუხდენელი სიყვარულით გათანგულის, მანანა ორბელიანის სალონური ცხოვრებით განებივრებულის, ორსახოვანი _ აზიასა და ევროპას შორის გახლეჩილი ქალაქის. ასეთი თბილისი წარუდგინა პუბლიკას წამყვანმა, შოთა პაპავამაც და კიდევ ბევრი “გასახსენებელი წარსული”.

“გინდ მეძინოს, მაინც სულში მიზიხარ!” _ ყმასავით ერთგულებას ეფიცება ყარაჩოხელი აქ ქალს, ისტორიული ქალაქი კი სხვადასხვა ენაზე ხმაურობს.

ნიკოლოზ ბარათაშვილი ისევ მიილტვის “წყლის პირს სევდიანი ფიქრთ გასართველად”. _ ეს და კიდევ ბევრი რამ ხდება სცენაზე. ძველი თბილისის დეკორაციები და მონაწილეთა კაბებზე

ნალისტს, გიორგი გუგუშვილს სთხოვა მუსიკა, რომელიც მისი საავტორო გადაცემისთვის “ჩვენი ეზო” დაიწერა, ნება დაერთო, ღონისძიებაში გამოეყენებინა. ბატონმა გიორგიმ თხოვნა შეუსრულა და ღონისძიებაზე დასწრებაც აღუთქვა, მაგრამ თბილისში მომხდარი სტიქიის გამო მოსვლა ვერ შეძლო.

ქველმოქმედება ანსამბლის ხელმძღვანელისთვის მნიშვნელოვანია. იმ კონცერტსაც საქველმოქმედო დაარქვა და შემოსული თანხა დაზარალებულთა დასახმარებლად გადარიცხა. საუბარში დასძინა, რომ მსგავს ღონისძიებებში მონაწილეობაზე უარს არასდროს ამბობს.

შოუ-ბალეტ “ფანტაზიაში” 31 სხვადასხვა ასაკის ბავშვი ეუფლება სამეჯლისო ცეკვებს. პროექტში 31-ვე მონაწილეობდა.

“მიუხედავად იმისა, რომ სასწავლო პროგრამის მიხედვით მხოლოდ მე-3 კურსიდან შეიძლება ბავშვი სცენაზე გამოვიდეს, ამას არ დავუშვებ. თუ მას მონაცემები აქვს და სცენაზე დასაწყისშივე გამოიყვან, ეს სტიმულს აძლევს, უკეთესად ისწავლოს”. _ გვიხსნის პედაგოგი.

რომელიმე მათგანის გამორჩევა ეძნელება, ყველანი კარგები არიანონ. თუმცა, ანსამბლის სოლისტს, ლანა მეიშვილს, როგორც მომავალ ქორეოგრაფს, უპირატესობას ანიჭებს.

მკაცრია, მაგრამ უყვარს თავისი აღსაზრდელები, ენატრება, როცა ხანგრძლივად ვერ ხედავს მათ. ქრისტინეს შვილი ლუკაც ანსამბლში ცეკვავს და ღონისძიებაშიც აქტიურად მონაწილეობდა.

როგორც გვიხსნის, სამეჯლისო ცეკვებზე სამტრედიაში უმეტესად გოგონები დადიან, ბიჭები _ ნაკლებად. მაგრამ ეს, ალბათ, დროებითია, რადგან სამეჯლისო-სპორტულ ცეკვებზე მოთხოვნა იზრდება.

25 წლის შოუ-ბალეტმა “ფანტაზიამ” ამ კონცერტის შემდეგ კიდევ ერთი წელი მიითვალა. ის, რომ ღონისძიება კარგი გამოვიდა, ამისთვის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის დირექტორს, ტატა გოგუაძეს, მის მოადგილეს, ელიკო ანკვაბს, ეროსი მანჯგალაძის სახელობის კულტურის ცენტრის დირექტორს, ვეფხია ნადირაძეს, მსახიობებს, გია სტურუას, როლეზ გოგიშვილს, ასევე, მამუკა მხეიძეს, თენგიზ წულაიას, ანსამბლ “ლაბირინთის” სოლისტს, ზურაბ კალაძეს, ბავშვებსა და მათ მშობლებს ემადლიერება.

საკუთარი თავისადმი მომთხოვნი ქორეოგრაფი ყოველთვის ახლის ძიებაშია. სიახლე იყო, როცა მან პროექტში მოდერჯაზი და კონტერპორარი გამოიყენა. წარმოადგინა მონების ცეკვა, სადაც, როგორც წესი, ბავშვები ფეხშიშველი ცეკვავდნენ.

“ამ მიმდინარეობაში ისეთი გარდასახვა ხდება, რომ უსიტყვოდ, ცეკვით ხედები, რას გამოხატავენ. იგი საბალეტო სისტემასთან არის შერწყმული. ჩვენთან სამეჯლისო ცეკვების თითქმის ყველა სახეობას ეუფლებიან: “სამბას”, რუმბას”, “ჩა-ჩა-ჩას” და ასევე ბევრ სხვას.

ჩემთვის ყველაზე დიდი ბედნიერებაა, როცა სემინარებიდან სიახლეები ჩამომაქვს. ჩემმა პრეზიდენტმა ძალიან გამახარა, თეატრისა და დრამის ქორეოგრაფიას შეისწავლითო, რომ გვითხრა. ამის შემდეგ საშუალება მომეცემა, სპექტალი თვითონ დავდგა”. _ კმაყოფილებას ვერ მალავს ქრისტინე ზაქრაძე.

კიდევ ერთ საინტერესო პროექტზე დაიწყო ფიქრი ქორეოგრაფმა. ეს გალა-კტიონის “შესაფლავეა”. როგორი გამოვა, არც ამ შემთხვევაში იცის, თუმცა, ქორეოგრაფიულ-ლიტერატურული კომპოზიციით: “არავინ იცის, რა გამოვა რისგან” თუ ვიმსჯელებთ, ყველაფერი კარგად იქნება.

სუფთა ჰაერზე...

ნათია ნაცვლიშვილი

"მოაშორეთ სამტრედიას, წაიყვანეთ აღმოსავლეთ საქართველოში, ჰაერის გამოცვლა ესაჭიროება ბავშვს!" _ ექიმის ასეთი ტექსტის მოსმენის შემდეგ არაერთი მცირეწლოვანის მშობელს დაუვლია ხელი თავისი შვილებისათვის და კურორტზე წაუყვანია. დამსვენებელს ვერ იტევს დაბა სურამი, სამთო-კლიმატური კურორტი ხაშურის მუნიციპალიტეტში. განსაკუთრებით დასავლეთ საქართველოს მკვიდრთა სიმრავლეა. სეზონი მაისის თვიდან იწყება, ანუ მაშინ, როცა ფიჭვი დამტვერვას იწყებს.

მცირედი ექსკურსი სურამის შესახებ: სურამი ანტიკური ხანის ქართლის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ქალაქს წარმოადგენს, შორეულ წარსულში სურამზე გადიოდა აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ მომავალი მნიშვნელოვანი სავაჭრო-საქარავნო გზა ინდოეთიდან ფაზისამდე, რომლის შესახებ ცნობები ჯერ კიდევ ძვ. წ. აღ.-ის IV-III საუკუნის ბერძენი ისტორიოსებისა და გეოგრაფების შრომებში გვხვდება. სურამის ქალაქად ჩამოყალიბება იწყება ძვ.წ. აღ.-ის IV-III საუკუნეების მიჯნაზე, ხოლო III საუკუნის ბოლოსთვის მას უკვე მკვეთრად გამოხატული ქალაქური სახე ჰქონდა. სურამი ფეოდალური ხანის ბოლომდე ქალაქი იყო და გასულ საუკუნეებში ისე მოშლილა ყველაფერი, რომ ახლა ნაქალაქარი აღარ ჩანს.

ვახუშტის თქმით: "არის ქალაქი სურამი და ამასა შინა მკვიდრობენ მართლმადიდებლური ქართველნი, სომხნი, ურიანი 200 კომლი". სურამის წარმოშობაზე ხალხური თქმულებაც არსებობს: "აქ ახალგაზრდა ქალ-ვაჟი ცხოვრობდა. ქალს _ სუ რქმევია, ვაჟს _ რამი. ერთმანეთი ძალიან ყვარებიათ. რადგან მშობლები ერთად ყოფნას უშლიდნენ, მაინც გადაწყვიტეს, ჩუმად დაქორწინებულიყვნენ და იმ უბანს, სადაც ისინი დასახლებულან, მათი ერთობლივი სახელი _ სურამი დარქმევია, ხოლო მოგვიანებით ამ სახელით მთელ დაბას მოიხსენიებდნენ".

ისევ აწმყოში გადმოვინაცვლებთ და გეტყვით, რომ დამსვენებელი დაბის თითქმის ყველა ნაწილშია, ამჟამად ძალიან პოპულარულია ბაიანთხევი _ უბანი სურამის სამხრეთ-დასავლეთით, ასევე, ზინდისი. ამ უბნებზე დასვენება, ვინაიდან ისინი ტყესთან ახლოს მდებარეობენ, დამსვენებელს უფრო ძვირი უჯდება. "არაჩვეულებრივი ჰავაა ჩვენს საცხოვრებელ ადგილას, _ გვეუბნება კოსტავას ქუჩის მკვიდრი, ზაურ ცხადაძე, _ ამ ადგილს ბულვარს ეძახიან, პატარა რომ ვყოფილვარ, ჩემი ასთმური პრობლემებით გაწამებული დედისათვის პროფესორ ირაკლი ფაღავას ურჩევია, სურამში გადასახლდით, საუკეთესო ადგილი კი კინო-თეატრისა და სადგურის მიმდებარე ტერიტორიაა." _ იხსენებს ბატონი ზაური. დღეს უკვე ის ძველი კინოთეატრი გაუქმებულია, დროის ცვალებადობასთან ერთად ამ კულტურულ ფენომენსაც ყავლი გაუვიდა და შენობა მხოლოდ იმ სათამაშოებისა და გასართობი ინვენტარის შესანახად გამოიყენება, რასაც შენობის ეზოში მდებარე დასვენების პარკის მფლობელები სთავაზობენ პატარებს. ათასფერი, ზიმზიმა ატრაქციონები მათ განსაკუთრებული ძალით იზიდავს. 2 ლარად ისრიალებენ, ერთ ლარად ბატუტზე იხტუნავებენ, კვადროციკლით გაივლიან, 50 თეთრად რკინის ნავებზეც იქანავებენ პატარები.



ტაქსის მძღოლები, რომლებიც ივნისში პარკის წინ ისხდნენ და მაგვენ დამსვენებელს. ისინი ტყესთან ძალიან ახლოს მდებარეობენ, აქ დასვენებაც ფუფუნებაა, უბანი პრესტიჟულია, ოთახის დღიური ფასი აქ 30 ლარიდან იწყება.

"რატომ ჰქვია ბაიანთხევი?" _ ვეკითხები მუხრან ჩხეიძეს. ამ გვარ-სახელის ადამიანი ძველ საქართველოში იქით მოგიმსახურებდათ, ახლა კი ის თქვენს პატარებს თავის თეთრ ცხენზე შემოსვამს და სულ რაღაც 2 ლარად გაასეირნებს. პატარებმა არც კი იციან, რომ ცხენი მათივე ხნისაა, 4 წლისაა და მას სახელად პეპელა ჰქვია. სასტუმროს მფლობელის, მამია ბითაძის საკუთრებაშია შავი პონი, რომელიც ასევე იზიდავს პატარებს. პონს სახელად პაცანა ჰქვია.

მუხრანი ერთგვარ გიდობას გვიწევს და ტოპონიმების ახსნაში გვეხმარება. როგორც გვითხრა, კომუნისტების დროს ამ ხევში მოსწავლეთა ბანაკი მდებარეობდა, აქაურებმა ბანაკის გაუქმების შემდეგ ადგილს ბაიათა ხევი, ანუ ბაიანთხევი შეარქვეს. დამსვენებლების მოძალებას აქაურები იელისში ელოდებიან.

ჩვენ აქ შესანიშნავი ქალბატონი, ქეთევან სამხარაძე გავიცანით, იგი პოეზიის დიდი მოყვარული და უბადლო მცოდნეა. როცა გაიგო, ჟურნალისტი სტუმრობს, ყავას მიმზადებს და ყველა ღირსშესანიშნაობაზე მესაუბრება. ბოლოს პოეზიის უკიდეგანო სამყაროში გადავიჭერით, სტუმარმა გალაკტიონის, შოთა ნიშნიანიძის, მურმან ლებანიძის და მუხრან მაჭავარიანის შედევრები წაგვიკითხა.

ქალბატონი ქეთევანის თქმით, ამ ტყის გაშენების ინიციატორი ამაგდარი მამულიშვილი, ღვაწლმოსილი მეტყევე, ბუნების დიდი ქომაგი მიხეილ მურვანიშვილია. ჩვენი რესპონდენტი ასევე გვეუბნება, რომ ეს ადამიანი დავით ყიფიანის დიდი ბაბუაა. ქალბატონი ქეთევანი იმის გამო წუხს, რომ თუ კომუნისტების პერიოდში ტყე ირწყვებოდა, ახლა ეს არ ხდება, ტყეს კი უჭირს და მისი მოვლა აუცილებელია, რომ ამ სიკეთით სარგებლობა აქაურებსაც დიდხანს შეეძლოთ და დამსვენებლებსაც.

ამ ადგილიდან შესანიშნავად მოსჩანს კვირაცხოვლის ტაძარი. საინტერესო ისტორიას ჰყვება ქალბატონი ქეთევანი, რომელიც მისი მამამთილისაგან სმენია. იმ ადგილას, სადაც ახლა კვირაცხოვლის ტაძარია, ტაძრის ნანგრევები ყოფილა. ებრაელი, ტანსაცმლით მოვაჭრე ვინმე აბრამა, რომელსაც თურმე იმხანად აბრამ მეძონძეს ეძახდნენ, ერთხელ ღამით ტაძრის ნანგრევებზე ასულა და მოუსაქმებია. იგი მალე ლოგინად ჩავარდა და ვერაფერი უშველეს, წამლობამ არ გასჭრა, დაღონებულ აბრამას ესიზმრა თურმე, ეს ადგილი სასწრაფოდ გაწმინდეო. მან ცოლ-შვილი მაშინვე გაგზავნა და გაიწმინდა თუ არა ადგილი, მეორე დღესვე აბრამა ფეხზე დამდგარა, ამ საოცრების მერე აბრამა გაქრისტიანდა. "თქვენ ქართველებს ძალიან ძლიერი სარწმუნოება გაქვთო". ეუბნებოდა აბრამა ჩემს მამათილს". _ იხსენებს ქალბატონი ქეთევანი. მოგვიანებით, იმ ადგილას სასტუმრო-რესტორანი აშენებულა, სადაც თურმე ხშირად მკვლელობებიც ხდებოდა. გავიდა დრო და 10 წლის წინ კვირაცხოვლის შესანიშნავი ტაძარი აშენდა და ქრისტიანული მადლი ამ ტაძრიდანაც მოეფინა ქვეყანას. ქალბატონი ქეთევანი მისი გარდაცვლილი ვაჟის სულის საცხონებლად წმინდა გიორგის სახელობის ტაძარს აშენებს. ტაძარი სწორედ იმ ადგილას აშენდება, სადაც მის ახლობლებს თეთრ ცხენზე ამხედრებული წმინდა გიორგის სახე გამოცხადებიათ. მშენებლობა 1997 წელს დაიწყო და გრძელდება.

ჩვენი რესპონდენტები ასევე არიან მცირეწლოვანი ბავშვების დედები. სენაკელი ლუდმილა კვაბზირიძე და ქუთაისელი ნინო ჩიჩუა. ისინი სურამს უკვე მეორედ სტუმრობენ, რადგან არაჩვეულებრივი შედეგი გამოიღო სურამში მათი შვილების დასვენებამ. მათი თქმით, შესანიშნავი თვისებების მქონეა რკინის წყალი, ესაა ბუნებრივი წყარო, რომელიც დაბის ცენტრში მდებარეობს. ეს წყარო ჰემოგლობინის მოსამატებლად საუკეთესო საშუალებაა.

სურამზე საუბრისას განსაკუთრებულად უნდა აღინიშნოს სურამის ციხე და რამდენიმე ეკლესია. ესენია: წმინდა გიორგის ეკლესია, ამაღლების ეკლესია, კვირაცხოვლის ტაძარი, იტრიის დედათა მონასტერი, ჩუმათელეთის წმინდა გიორგის ეკლესია, ღვთაების ეკლესია, ღვთისმშობლის ეკლესია, წმინდა მარინეს ეკლესია, წმინდა ბარბარეს ეკლესია და ებრაული სალოცავი სურამის სინაგოგა.

1996 წლიდან სურამში არის რუის-ურბნისის საეპისკოპოსო რეზიდენცია.

მაშ ასე, დაისვენეთ ამ ღვთიური მადლით მოსილ, კეთილი, თბილი ხალხით დასახლებულ და შესანიშნავ კურორტზე.

145 წლის სამტრედია

ჰომც მოგინდეთ ჩემი დავიწყება, ხალხი ეh დაგანებებთ!

“ეი, ჩოგოჩი უნდა იყოს ქუჩაჩა!”

ბევრი ინატრებდა, ამ სიტყვების ადრესატი ყოფილიყო, ბედნიერება კი მხოლოდ ერთის ხვდა წილად. სამტრედიის რკინიგზელთა სახალხო თეატრის მსახიობით აღფრთოვანებულმა აკაკი ხორავამ არქიფო სიგუას შესრულებას სამადლობელი უწოდა და განაცხადა: “აჩვენეთ იგი ამ როლის ყველა შემსრულებელს!” აღასრულეს თუ არა დიდი ტრაგიკოსის მოწოდება, ჩვენთვის უცნობია, მაგრამ ბუნებრივი ნიჭით მირონცხებული არტისტის სიცოცხლე რომ გარდაცვალების შემდეგაც გრძელდება, ეს ფაქტია. გრძელდება ნაცარქექია (გ. ნახუცრიშვილის “ნაცარქექია”), შმაგას (ა. ოსტროვსკის “უდანაშაულო დამნაშავენი”), სოსიას (ი. ჭავჭავაძის “ოთარაანთ ქვრივი”), ალიფასტროს (ი. ვაკელის “შური”), კოწიას (შ. დადიანის “გუშინდელნი”), კორნელის (კ. კალაძის “როგორ”), მირზასა (ი. მოსაშვილის “ჩაძირული ქვები”) და სხვა მრავალი არქიფოსეული ტიპაჟის მოგონებით.

ყველაფერი კი 110 წლის წინ, სიგუების ოჯახში ვაჟის დაბადებით დაიწყო. შემდეგ იყო საქართველოში ახლად დაბრუნებული მეწაღის სამტრედიაში ჩამოსვლა. პირველ რიგში სცენისმოყვარეთა გაერთიანება მოუკითხავს, “ნახალოვკელებსაც” თავმომწონედ მიუთითებიათ “რკინიგზის კლუბზე”. _ “აზიაცკებითა” და ყაბალახით გავემართე დანიშნულების ადგილისკენ, გამაფრთხილეს: “არავის გამოელაპარაკო, ენამოსწრებული ხალხი გაგამასხარავებსო” და გზა ცხვირაწეულმა გავიარე, მაგრამ თავდაჭერილობა ძვირად დამიჯდა, ყაბალახში ქვების ჩასაწყობად თურმე უკან გამომყოლიან, თავდამძიმებულმა ვიარე, ოღონდ ვაუკაცურადო. _ სრული სერიოზულობით იხსენებდა წლების შემდეგ სამუშაოზე მისვლის პირველ დღეს, კოლორიტი მსახიობი.

არქიფო სიგუა როლში

იგი საქართველოს დამსახურებული არტისტი იყო. კომიკოსი, თუმცა ცხოვრებითა და ბუნებით ტრაგიკული შემოქმედი... ალბათ, სცენა უქარვებდა სულის სიღრმეში დაგროვილ უამურ განცდებს. არაფერს აძალებდნენ, ყველამ იცოდა არქიფოს ფასი, თვითონაც იცოდა, მაგრამ არასდროს იმჩნევდა. იყო მოკრძალებული, ხალასი და სახალხო...

1965 წელს რკინიგზელთა კულტურის სახლის ხალხით გადაჭედილ დარბაზში, დაბადებიდან 60 და სასცენო მოღვაწეობიდან 40 წლისთავისათვის, რკინიგზის სამტრედიის კვანძის ხელმძღვანელობამ საიუბილეო შეხვედრა მოუწყო არქიფო მარკოზის ძე სიგუას. შრომით გათელილი ათეულები დაუფასეს მსახიობს.

გასტროლებით, სხვადასხვა კონკურს-ფესტივალში მონაწილეობით განებივრებული რკინიგზელთა სახალხო თეატრი, 1967 წელს, მარჯანიშვილის თეატრის სცენაზე კარლო კალაძის დრამით წარდგა (“როგორ”, რეჟისორი ოთარ შანიძე). ავადმყოფობის გამო მსახიობთა ჯგუფს არქიფო სიგუა აკლდა, რომელიც ამ ფაქტს გაზეთ “წინსვლის” ერთ-ერთ ნომერში გამოქვეყნებული წერილით ეხმაურებოდა: “დიდად დასანანი და საწყენია ჩემი მდგომარეობა, რისთვისაც თეატრი დამატებითი სიძნელეების წინაშე აღმოჩნდა. ვიმედოვნებ, მალე დავუბრუნდები ჩემს საყვარელ კოლექტივს”. დაბრუნდა კიდეც, ცოტა სახეცვლილი, ნირწამხდარი, დამძიმებული... არ დანებდა, კვლავ ითამაშა და... “ბატონი არქიფოს გარდაცვალებამ დიდად დაამწუხრა მისი თაყვანისმცემლები და მეგობრები, ყველა, ვისაც ერთხელ მაინც უნახავს ის სცენაზე. მქონდა ბედნიერება ფიცარნაგზე მისი პარტნიორი ვყოფილიყავი, შემდეგ ჩემს დადგმებში მემუშავა მასთან. იგი ყოველთვის მაოცებდა განსაკუთრებული შრომისმოყვარეობითა და შემოქმედებითი ძიების წყურვილით.

არქიფო სიგუა (მარჯვნივ) და ლევან ბუაძე

ა. სიგუა უხვად იყო დაჯილდოვებული არამარტო დიდი სამსახიობო ნიჭით, არამედ კაცთა მოდგმის ულამაზესი ღირსებით _ თავმდაბლობით. მახსოვს, მას კინოფილმში “მე, ბებია, ილიკო და ილარიონი” ილიკოს როლი შესთავაზეს, მაგრამ იუარა, უხერხულია ასეთი ცნობილი მსახიობების გვერდით ჩემი გამოსვლაო.

ნათელში იყავ, ჩვენო უფროსო მეგობარო და მასწავლებელო”. _ ამ სიტყვებით გამოემშვიდობა ბატონი ოთარ შანიძე რაიონის უფროსი თაობის პროფესიონალ მსახიობთა კასტის ღირსეულ წევრს, კაცს, რომელსაც დღეს “სამტრედიის მაცნე” ახლობელ ადამიანთა მონათხრობით იგონებს.

“ბაბაია”

“50 წლის წინ, ვინმეს რომ ეთქვა: გავა წლები და არქიფოს გახსენება მოგიწევსო, წარმოუდგენელი იქნებოდა ჩემთვის. _ ამბობს ქალბატონი მზია ჩიხლაძე საუბრის დასაწყისში. _ მე რომ სცენაზე ფეხი დავდგი და სამსახიობო ხელოვნებას ვეზიარე, არქიფო ცნობილი მსახიობი გახლდათ არა მარტო სამტრედიაში, არამედ საქართველოში. მასზე ბევრს წერდნენ, მის მიერ შესრულებული როლები გამოირჩეოდა იუმორითა და მაღალი პროფესიონალიზმით. არქიფო სიგუას მოღვაწეობა რკინიგზელთა სახალხო თეატრში უმნიშვნელოვანესი ეტაპია ჩვენი რაიონის თეატრალურ ისტორიაში. მას გვერდს უმშვენედნენ: ნინა და ლევან ბუაძეები, დარეჯან ჩაჩუა, ბიძინა კიკაჩეიშვილი, გივი ახობაძე, ავთანდილ ჩაჩუა, ზვიად ვაშაკიძე... მე კი მხოლოდ მოკრძალებული სალმითა და მოკითხვით შემოვიფარგლებოდი. ამის გამო ყოველთვის მქონდა ახალგაზრდული ოცნება _ ერთხელ მაინც ვმდგარიყავი სცენაზე არქიფო სიგუასთან ერთად. ოცნება ოცნებად დამრჩა... მახსოვს, ერთხელ, სპექტაკლის შემდეგ მითხრა: “ბაბაია, მართალი, გულწრფელი ხარ სცენაზე და ასე გააგრძელეო.”

რკინიგზელთა თეატრსა და კულტურის სახლის მსახიობთა შორის, თითქოს, კედელი იყო აღმართული, ხშირად ჯანსაღი შეჯიბრიც კი გვქონდა სპექტაკლის წარმატებაში, მაყურებელთა მოზიდვაში.

როცა სახელოვან სამტრედიელ თეატრალებზე ვსაუბრობთ, პირველ რიგში, არქიფო სიგუა ამოტივტივდება მახსოვრობაში, თავისი უშუალო, ორიგინალური საშემსრულებლო მანერითა და დახვეწილობით.”

წამყვანი არტისტი, ცხოვრების რიტმის მიმცემი, დიდი კომიკოსი...

“არქიფო სიგუას პირადად ვიცნობდი. ჩემს მეუღლეს, მსახიობ ზვიად ვაშაკიძეს ძალიან მჭიდრო კავშირი ჰქონდა რკინიგზელთა სახალხო თეატრთან. კლუბის თანამშრომელთა შეკრების ადგილი ხშირად იყო ჩვენი სახლი. ბატონი არქიფო მეგობრობდა ჩემს მამამთილთანაც. ასე რომ, მთელი რაიონისთვის საამაყო პიროვნება, ჩვენი ოჯახის ახლობელი გახლდათ. ამ პატარა ტანის, გამხდარ კაცს ყოველთვის გამოარჩევდით მოთრეული საუბრის მანერითა და ჩვეული ენამახვილობით. გონებიდან წარუშლელი თეატრალური როლებიდან ნათლად მახსოვს მის მიერ განსახიერებული “ნაცარქექია”, რომელიც ზედგამოჭრილი იყო არქიფოს ხასიათისთვის. უმნიშვნელოვანესი შემოთავაზებების, სამომავლო კარიერის გარანტიების მიუხედავად, იგი ბოლომდე სამტრედიის ერთგული დარჩა. თავმდაბალი, მორიდებული მსახიობი არავის აგრძნობინებდა საკუთარ გამორჩეულობას. გარდაიცვალა ბატონი არქიფო... თეატრს დააკლდა წამყვანი არტისტი, უბანს _ ცხოვრების რიტმის მიმცემი, ქალაქს _ საამაყო შვილი და საქართველოს დიდი კომიკოსი.

წლეულს, ქალაქის საიუბილეო დღეებში, სხვადასხვა დარგის თვალსაჩინო წარმომადგენელთა სახელების მოგონებისას, უდავოდ გავიხსენებთ არქიფო მარკოზის ძე სიგუას განუზომელ ღვაწლს და სათანადო პატივს მივაგებთ ლეგენდარული თანაქალაქელის ნათელ ხსოვნას.” _ გვპირდება სამტრედიის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილე, ქალბატონი ლიზა კრავეიშვილი.

“თვითნაბადი მარგალიტი”

“ასე უწოდა აკაკი ხორავამ არქიფო სიგუას, როცა მისი “ქუჩარა” ნახა. პროფესიული განათლების არქონის მიუხედავად, ბატონ არქიფოს სრულფასოვნად მიჰქონდა მაყურებლამდე ყველა როლი. ასეთი ჩვევა ჰქონდა, პიესის წაკითხვის შემდეგ მიიღებდა მასზე განაწილებულ ტექსტს, რამდენიმე დღე ჩაიკეტებოდა სახლში და რეპეტიციაზე ნასწავლი დაბრუნდებოდა. ამ მდგომარეობამ ბევრჯერ ათქმევინა უარი დედაქალაქის სახელმწიფო თეატრებიდან მიღებულ შემოთავაზებაზე _ გადასულიყო სამუშაოდ თბილისში და იქ გაეგრძელებინა მოღვაწეობა.

ბატონი არქიფო გამორჩეული იყო ესტრადაზეც. იგი “რკინიგზელთა კლუბთან” და სარაიონო კულტურის სახლთან არსებული აგიტმხატვრული ბრიგადების წევრი გახლდათ. განუმეორებელი იყო სკეტჩი მისი შესრულებით _ “თარჯიმანი ექიმთან”. არქიფო სიგუას პარტნიორები ყოველთვის გამოირჩეოდნენ არაჩვეულებრივი ანსამბლურობით.



არქიფო სიგუა

ხალხურ საკრავთა ტრიოს, ზურაბ მეფარიშვილის, მამია კეშელავასა და ჩემი მონაწილეობით, გვქონდა ბედნიერება, აღნიშნულ ბრიგადებთან ერთად რამდენიმე კონცერტი ჩაგვეტარებინა საქართველოს სხვადასხვა კუთხეში.” _ ალექსანდრე (საშა) ლეჟავა.

თაობებმა უნდა იცოდნენ!

საშუალო და უფროსი თაობის სამტრედიელებს კარგად ახსოვთ რკინიგზის დასახლებაში მცხოვრები ჩია ტანის კაცი, რომლის გამოჩენას მაყურებელი ოვაციითა და ხარხარით ეგებებოდა. იგი თავისუფლად შეიძლება, პროფესიული თვალსაზრისით, აკაკი კვანტალიანის, ვახტანგ ნინუას, იპოლიტე ხვიჩიას გვერდით დავაყენოთ.

ყოველ როლს ერთნაირი პასუხისმგებლობით ასრულებდა, თუმცა, განსაკუთრებით, კომედიურ პერსონაჟებად გარდასახვა ხელეწიფებოდა. მან უზარმაზარი წვლილი შეიტანა რაიონის კულტურული ცხოვრების განვითარებაში.

ჩინებულად თამაშობდა შაშს, ნამდვილი ოსტატი გახლდათ, იშვიათად შეგხვდებოდათ ადამიანი, მისი დამარცხებით რომ დაეტრაბახა. პარტიის დაწყებამდე გაიაზრებდა მომგებიან სვლებს და შედეგიც სახეზე იყო. არაერთხელ გამიგონია ისტორიები, ფელეტონები ბატონი არქიფოს შესახებ, მაგრამ პირადი ურთიერთობა მაინც სხვა იყო. თაობებმა აუცილებლად უნდა იცოდნენ, რომ სამტრედიაში ასეთი პიროვნება ცხოვრობდა, მოღვაწეობდა.” _ დასძენს შპს “სამტრედიის მაცნეს” დირექტორი, ბატონი ბეჟან გოგია.

მოქმედების ბოლოს არქიფო კვდებოდა

“პირველად 70-იან წლებში ვნახე, მოვიხიბლე და მას შემდეგ იგი ჩემი ცხოვრების წიგნის გაუხუნარ ფურცლად იქცა, რომლის გადაშლა მუდამ კარგის მოგონებას უკავშირდება. ამ კარგსა და სასიამოვნოს ქმნიდა არქიფო სიგუა ათწლეულების მანძილზე. გადმოცემით ვიცი, იპოლიტე ხვიჩიას სიტყვები: “ვუყურებ მას და ვრწმუნდები, რომ დრამატურგ პოლიკარპე კაკაბაძეს, სწორედ არქიფოს მსგავსი ნატურა ესახებოდა “ყვარყვარე თუთაბერის” წერისას, როცა ის ქუჩარას პორტრეტზე მუშაობდა”.

ვოდევილები მისი შემოქმედების ზენიტს წარმოადგენდა. ბიძინა კიკაჩეიშვილი, ნიკოლოზ (კოლია) კაკაბაძე და არქიფო სიგუა _ მათი ერთობა, მთელი კოლექტივის თანადგომით, შემოქმედებით ამინდს ქმნიდა რკინიგზელთა სახლახო თეატრში.

მას ერთ-ერთი ბოლო როლი, დავით ტაბიძის დადგმულ სპექტაკლ “შავ რვეულში” ჰქონდა, სადაც პერსონაჟი, სახელად არქიფო, მოქმედების ბოლოს კვდებოდა. სიგუა კატეგორიულად ეწინააღმდეგებოდა რეჟისორს, შეუცვალეთ გმირს სახელი და ვითამაშებო. დათანხმდნენ, მაგრამ ამით მოსახდენს წინ ვერ აღუდგნენ.

ქუჩას, რომელზეც ბატონი არქიფო სიცოცხლის ბოლომდე ცხოვრობდა, დღეს მისი სახელი ჰქვია, ნიშნად მსახიობის განუზომელი ღვაწლისა და პროფესიული დანატოვარისა.” _ აღნიშნავს ყოფილი რკინიგზელთა სახალხო თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი და დირექტორი, ბატონი ლევან თავაძე.

ვინ არის ეს არქიფო სიგუა?

“უკითხავს ერთხელ რკინიგზელთა თეატრში ჩამოსულ აკაკი ვასაძეს, _ გამაცანით, თბილისში ბევრს საუბრობენ მასზეო.

_ რიგითი არტისტია, ოცი წელია, ერთ სკეტჩს თამაშობს და სულ ესაო... _ ყოფილა პასუხი.

_ რა? მსახიობი ამდენი ხანია ერთ წარმოდგენას აჩვენებს და მაყურებელს არ ბეზრდება?! ეს ერთიორად დიდი ნიჭიაო.

მამაჩემს მართლაც ჰქონდა ამის ნიჭი. _ თხრობას განაგრძობს ქალბატონი მაყვალა სიგუა, _ ომის საშინელებას გაუძლო. სიკვდილისაგან პროფესიამ იხსნა, წინა ხაზიდან ჩექმების მკერავად გაუმწესებიათ. არავინ ყოფილა ამ საქმის მცოდნე და რომ შეუტყვიათ არქიფოს ხელმარჯვეობა, ახალი საქმე გამოუძებნიათ მისთვის. თეატრით სულდგმულობდა, ყოველთვის ამბობდა: “მთავარი ტექსტის გამართულად სწავლაა, სცენაზე რომ გახვალ იმაზე კი არ უნდა იფიქრო, რის შემდეგ რა თქვა, არამედ გათავისებულად მოარგო იგი ხასიათსა და ემოციებს.”

გულჩათხრობილობას ვერ შეამჩნევდით, საკუთარი პრობლემებით შეწუხებული სხვათა სადარდელის მოგვარებაზე ფიქრობდა. 1979 წელს, ბოლო, “ფოსტალიონის” როლი შაბათკვირას ითამაშა, ახალგაზრდები იხსენებდნენ, ერთ მიზანსცენაში წერილებით სავსე ჩანთას გვაწვდიდა: “აბა, თქვენ იცით, გაბარებთ!”-ო და თითქოს იცოდა, რომ უკანასკნელად უწევდა სცენაზე დგომა. ორშაბათს გარდაიცვალა, იქცა ჩვენი ოჯახისა და რაიონის დიდ ტკივილად.

როცა დამირეკეთ, მამათქვენი უნდა მოიგონოთო, ჩავფიქრდი... ხშირად გვეუბნებოდა, წლების შემდეგ, რომც მოგინდეთ ჩემი დავიწყება, ხალხი არ დაგანებებთო. მართლაც ასეა, იგი დღესაც ახსოვთ, კაცთმოყვარე და უპრეტენზიო!”

ბიძინა კაკაბაძე

სტალინი და საქართველო

“აი, მე მოგკვდები და პოლიტბიუროსა თუ მთავრობაში პატარა ბიჭებივით ერთმანეთის დაერევით... ვიცი, ყველაფერში მე დამადანაშაულებთ და ჩემს სამარეს ნაგვით დაფარავთ, მაგრამ არა უშავს, ისტორიის ქარი განფანტავს ამ ნაგავს”.

ი. სტალინი

ისმის კითხვა _ დედამიწის ერთი მეექვსედის მფლობელმა, ნახევარი მსოფლიოს აზრთა მპყრობელმა, ოკეანესავით ღრმა და ულევმა, არნახული მასშტაბების შემოქმედმა სტალინმა, რა გააკეთა თავის სამშობლო _ საქართველოსათვის?

ვიდრე ამ კითხვას ვუპასუხებდეთ, აუცილებელია გავაცნობიეროთ, რომ სტალინი პლანეტარული მოვლენაა, მსოფლიოს ყველა ხალხის შვილია, ადამიანთა უმაღლესი იდეალებისათვის ბრძოლის დროშაა, კაცობრიობის ისტორიაში პირველი სოციალურად სამართლიანი სახელმწიფოს შემოქმედია, რისთვისაც იგი ყველა ხალხს, პატიოსან მშრომელს საკუთარ შვილად, მამად, ძმად და მეგობრად მიაჩნია.

ამდენად, სტალინს არ მოეთხოვება და არც შეეფერებოდა საკუთარი სამშობლოსადმი განსაკუთრებული და გამორჩეული ზრუნვა. იგი საქართველოს სვე-ბედს კაცობრიობის მომავლიდან სამართლიანობისა და ობიექტურობის ასპექტში განიხილავდა და თავის საზრუნავად მიიჩნევდა.

მიუხედავად ზოგადსაკაცობრიო ფართო მასშტაბური საკითხებით დატვირთვისა, სტალინი არასოდეს შერიგებია ოსმალო-თურქების მიერ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს, კერძოდ, ქართული კულტურის აკვნის, ტაო-კლარჯეთის საკმაოდ დიდი ნაწილის მიტაცებას, ამ მიმართებით ბრესტ-ლიტოვსკისა და ყარსის ხელშეკრულების, უფრო ზუსტად ამ საზავო გარიგებების პირობებს.

სამწუხაროდ, ისტორიკოსებისა და დღევანდელი პოლიტიკოსების დიდი ნაწილი შეგნებულად და მიზანმიმართულად უვლიან გვერდს უტყუარ ფაქტებს, რეალობას, თუ როგორი თანმიმდევრობითა და მიზანსწრაფულად იღვწოდა სტალინი ისტორიული სამართლიანობის აღსადგენად _ ქართველი ხალხისათვის (და არა მხოლოდ ქართველი ხალხისათვის) კუთვნილი ტერიტორიების დასაბრუნებლად.

საქმის არსში უფრო ღრმად გარკვევისათვის საჭიროა მოკლედ გავეცნოთ ოსმალო-თუქრების მიერ საქართველოს კუთვნილი ტერიტორიების დაპყრობის ისტორიას.

XVI საუკუნეში თურქები ინტენსიურად იწყებენ სამცხე-ჯავახეთისა და აჭარის მიტაცებას. ოკუპირებულ ტერიტორიებზე შემოაქვთ მმართველობისა და მეურნეობის გაძღოლის თურქული სისტემა. 1578 წელს “გურჯისტანის ვილაიეთის” ბაზაზე შექმენს ახლციხის საფაშო, რომელსაც სათავეში ჩაუყენეს მათ მიერვე დანიშნული ფაშა. დაიწყეს ქართული მოსახლეობის გათურქება-ისლამიზაცია.

დაშლილ-დაქუცმაცებული საქართველო უძლური აღმოჩნდა ვერაგ მტერთან ბრძოლაში. თურქეთის აგრესიის ალაგმვა მხოლოდ საქართველოში რუსეთის შემოსვლის შემდეგ გახდა შესაძლებელი. მორიგ ომში თურქეთის დამარცხების შემდეგ, 1829 წელს ქ. ამასიაში დადებული ზავით, რუსეთმა ოსმალთა შთამომავლებს სამცხე-ჯავახეთი, ხოლო 1878 წელს ბერლინის კონგრესის გადაწყვეტილებით თურქეთს მთელი მესხეთ-ჯავახეთი _ ისტორიული ტაო-კლარჯეთი წაართვა. თითქმის 300 წლიანი განშორების შემდეგ დედა სამშობლოს დაუბრუნდა აჭარა.

ვითარება შეიცვალა რუსეთში 1917 წლის ოქტომბრის გადატრიალების შემდეგ. მასონურ-სიონისტური ორგანიზაციების მხარდაჭერით რუსეთის სახელმწიფოს სათავეში მოსული ბოლშევიკ-რევოლუციონერები ლენინის მეთაურობით, თავიანთი ხელისუფლების შენარჩუნებისათვის, 1918 წლის მარტში, რევოლუციის დროს მათ დამფინანსებელ, გერმანიის მთავრობასთან, ბრესტ-ლიტოვსკში აფორმებენ საზავო ხელშეკრულებას, რომლის ძალითაც რუსეთმა დაკარგა 600 ათასამდე კვ. კმ. ფართობის ტერიტორია. მათ შორის რუსეთის არმიის თურქეთთან სისხლისმღვრელი ომებით დაბრუნებული ართვინისა და არდაგანის ოლქები.

მართალია, მალე პირველ მსოფლიო ომში გერმანია დამარცხდა და ბრესტ-ლიტოვსკში დადებულმა ზავმა იმავე წლის სექტემბერში ძალა დაკარგა, მაგრამ ახლა ლენინს სხვა სულიერი ძმა, ასევე სიონისტთა მიერ მხარდაჭერილი ქემალ ათა-თურქი გაოუჩნდა მოკავშირედ.

შედეგმაც არ დააყოვნა _ თურქეთმა პირველმა სცნო საბჭოთა რუსეთი, თავის მხრივ ლენინმა დაუყოვნებლივ გააფორმა თურქეთთან რუსეთის მეგობრობისა და თანამშრომლობის ხელშეკრულება. ხოლო 1921 წელს (13 ოქტომბერს) ყარსის ხელშეკრულება, რომლის თანახმად თურქეთს გადასცა ყარსის, ართვინის, არდაგანის ოლქები და ბათუმის ოლქის მნიშვნელოვანი ნაწილი.

სტალინი არასოდეს შერიგებია ბრესტის ზავისა და ყარსის ხელშეკრულების პირობებს და შესაფერის დროს ელოდა. ისტორიკოსებისა და პოლიტიკოსთა ერთი ნაწილი დუმან იმის შესახებ, რომ 1941 წლიდანვე, საბჭოთა არმიის 17 დივიზია დისლოცირებული იყო ქ. თავრიზის მახლობლად, ირან-თურქეთის საზღვართან, რომელიც ბულგარეთში მყოფ საბჭოთა ჯარებთან ერთად ემზადებოდნენ თურქეთში შესასვლელად.

მიზანი კი საქართველოსათვის ართვინ-არდაგანის, სომხეთისათვის _ ყარსის, ხოლო საბერძნეთისათვის მისი ისტორიული დედაქალქის _ კონსტანტინეპოლის, დღევანდელი სტამბოლის დაბრუნება იყო. სტალინის გეგმაში შედიოდა იმპერატორ კონსტანტინე დიდის მიერ აშენებული, ოსმალთა მიერ 1453 წელს მიტაცებული კონსტანტინეპოლის კანონიერი მეპატრონესათვის დაბრუნება. ბალკანეთში მდგომი საბჭოთა არმია, გენერალი ტოლბუხინის სარდლობით ბელადს არა მხოლოდ სტამბოლის, არამედ ერთ კვირაში ანკარის აღებასაც ჰპირდებოდა.

სომხეთისა და საქართველოს ისტორიული ტერიტორიების დაბრუნების საკითხი კრემლში მეორე მსოლფიო ომის დროს, 1944 წელს მთელი პრინციპულობით დაისვა, ერთ-ერთ გრიფით “საიდუმლო” დოკუმენტში ვკითხულობთ: “გერმანიის დამარცხება გარდაუვალია. დღის წესრიგში დგება თურქეთის მიერ მიტაცებული ტერიტორიების დაბრუნება, რისთვისაა აუცულებელია ყარსის ხელშეკრულების დენონსაცია”.

სტალინის ეს პოზიცია 1945 წლის მარტში ოფიციალურად აცნობეს თურქეთის ელჩს მოსკოვში _ სარფერს.

თურქეთის ხელისუფლებას არ აწყობდა მეორე მსოლფიო ომში გამარჯვებულ საბჭოთა კავშირთან ურთიერთობის გამწვავება და მისმა მეთაურმა ისმეთ ინენიუმ მოსკოვს შესთავაზა ახალი სამოკავშირეო ხელშეკრულების დადება.

საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრმა ვ. მოლოტოვმა პასუხად აცნობა სარფერს, რომ საბჭოთა კავშირი თანახმა იქნებოდა ახალი ხელშეკრულების დადებაზე, თუკი მანამდე გადაწყდებოდა ორ ქვეყანას შორის არსებული სადავო სასაზღვრო ტერიტორიული საკითხები.

თურქეთის ელჩმა უარყო ტერიტორიული პრეტენზიების საფუძვლიანობა. მალე თურქეთის დელეგაცია ლონდონს გაემგზავრა, რათა მხარდაჭერა და კონსულტაციები მიეღო თავისი მოკავშირე ინგლისის ხელისუფალთაგან.

სტალინმა პარალელურად დაავალა გ. მალენკოვსა და ა. მიქოიანს, რომ მოემზადებინათ თურქეთისაგან დაბრუნებული ტერიტორიის ადმინისტრაციული მოწყობის გეგმის პროექტი, რაც იალტის კონფერენციისათვის უკვე დამთავრებული იქნა. გადაწყდა ამ ტერიტორიების დარაიონება, დაინიშნა ხელმძღვანელი კადრები, რომელთა გვარები დღესაც ცნობილია.

სტალინმა თურქეთისადმი ტერიტორიული პრეტენზიები პრინციპულად დააყენა პოდსდამის კონფერენციაზე, “დიდი სამეულის შეხვედრისას”, სადაც აშშ-ს და დიდი ბრიტანეთის ლიდერებმა ჰ. ტრუმენმა და უ. ჩერჩილმა არ ისურვეს საკითხის სამართლიანი გადაწყვეტა და დიპლომატიურად განაცხადეს: “ეს საკითხი მხოლოდ ორი სახელმწიფოს (საბჭოთა კავშირისა და თურქეთის) გადასაწყვეტია”-ო.

აშშ-სა და ინგლისის გეგმებში ამ ეტაპზე უკვე არ შედიოდა თურქეთის წყენინება და შესაბამისად საკითხის ობიექტური გადაწყვეტა. მათი მიზანი იყო, თურქეთის სახით შეექმნათ ახალი ძლიერი დაპირისპირებული ძალა საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. ამ მოტივით მალე თურქეთი ნატოს სამხედრო-პოლიტიკური ბლოკის წევრი ქვეყანა ისე გახადეს, რომ იმ დროისათვის თურქეთი აშკარად ვერ აკმაყოფილებდა შესაბამის საწესდებო მოთხოვნებს.

საქართველოს, სომხეთისა და საბერძნეთისათვის კუთვნილი ტერიტორიების დაბრუნების სტალინურ გეგმას რეალური განხორციელების საფუძველი მოუსპო აშშ-ს მიერ ატომური ბომბის შექმნამ. პოდსდამის კონფერენციის მეექვსე დღეს, 1945 წლის 21 ივნისს აშშ-ს პრეზიდენტმა ჰარი ტრუმენმა ნანატრი ინფორმაცია მიიღო, სადაც აუწყეს, რომ “შობიაობამ წარმატებით ჩაიარა”. ეს კი იმას ნიშნავდა, რომ ალამოგორდოს ავიაბაზების მახლობლად ატომური ბომბი გამოსცადეს. სულ მალე, 6 აგვისტოს კი ეს გამანადგურებელი იარაღი “დემოკრატიის შუქურა” _ ამერიკის შეერთებულმა შტატებმა ხიროსიმაში გამოცადა. ეს იყო ძალის დემონსტრირება. ყოვლისშემძლე იარაღი მის მფლობელს განუზომელ ძალასა და უპირატესობას აძლევდა საერთაშორისო ასპარეზზე, რომლის გამოყენებას აშშ არავის არ დაეკითხებოდა. ასეთ ვითარებაში საბჭოთა კავშირის მხრიდან თურქეთის ტერიტორიაზე შეჭრა, თუნდაც უკანონოდ მითვისებული ტერიტორიების უკან დასაბრუნებლად, შეიძლებოდა, რომ ახალი მესამე მსოფლიო ომის საწინდარი ყოფილიყო.

ცნობილია, დეტალები თუ როგორ ცდილობდა, პოდსდამის კონფერენციაზე ჰარი ტრუმენი ეცნობებინა სტალინისათვის აშშ-დან მიღებული ამ ტელეგრამის შინაარსი. აშშ-ს პრეზიდენტმა ეს ინფორმაცია თავდაპირველად ჩერჩილს გააცნო და შეთანხმდნენ, თუ როგორ მიეწვდინათ იგი სტალინისათვის. მეორე დღეს კონფერენციის სხდომის დაწყების წინ რუზველტი და ჩერჩილი სტალინს ფოიეში ხვდებიან. მისალმების შემდეგ ჩერჩილმა დინჯად, სერიოზული ტონით მიმართა სტალინს: “ამხანაგო გენერალისიმუსო, წუხელ საოცარი სიზმარი ვნახე, მე მთელ ევროპას განვაგებდი”. სტალინმა მოუსმინა თანამოსაუბრეს, მაგრამ რეაგირება არ მოუხდენია. ტრადიციული ჩიბუხი ამოიღო და თუთუნს ცეცხლი წაუკიდა.

სტალინის ასეთმა ქცევამ ორივენი სახტად დატოვა. ახლა უკვე ტრუმენმა გააგრძელა საუბარი: “მართლაც რომ საოცარი იყო გუშინდელი ღამე. მესიზმრა, რომ აშშ მთელი სამყაროს პატრონი იყო, ხოლო მე მისი ხელმძღვანელი”.

სტალინი ქვეშეცნეულად ხვდებოდა, რომ რაღაც განსაკუთრებული ხდებოდა. ჩიბუხი გააბოლა, ამაყად მიმოიხედა, შემდეგ დინჯად გადადგა ორიოდ ნაბიჯი და მტკიცედ წარმოთქვა: “მართლაც, რომ უცნაური ღამე იყო, მეგობრებო. მე კი მესიზმრა, რომ მაგ თანამდებობებზე არც ერთი თქვენგანი არ დაგამტკიცეთ”.

მართალია, პოდსდამის კონფერენციამ საქართველოს, სომხეთისა და საბერძნეთის კუთვნილი ტერიტორიების დაბრუნების საკითხი ვერ გადაწყვიტა, ხოლო აშშ-ს ატომურმა შეიარაღებამ იგი ფაქტობრივად შეუძლებელი გახადა, მაგრამ საერთაშორისო ორგანიზაციების ჩართვითა და სათანდო იდეურ-პოლიტიკური ფონის შექმნით ინტენსიურად განაგრძობდა მუშაობას თურქების მიერ მიტაცებული ამ მიწების კანონიერი მეპატრონეებისათვის დასაბრუნებლად.

1946 წლის 25 თებერვალს გაზეთ “პრავდაში” გამოქვეყნდა საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტით პირველი მდივნის, კანდიდ ჩარკვიანის მიერ საბჭოთა კავშირის მთავრობის სხდომაზე წარმოთქმული სიტყვა, სადაც საქართველოს თავკაცი მოითხოვდა სამართლიანობის აღდგენას _ თურქეთისაგან საქართველოს კუთვნილი ტერიტორიების დაბრუნებას.

ამავე საკითხზე გაზეთმა “კომუნისტმა” გამოაქვეყნა აკადემიკოსების სიმონ ჯანაშიასა და ნიკო ბერძენიშვილის წერილი, სადაც ისტორიულ ასპექტში იყო წარმოდგენილი საქართველოს ამ ძირძველი მიწების ისტორია და სახელოვანი მეცნიერები მოითხოვდნენ ამ ტერიტორიების კანონიერი მეპატრონისათვის დაბრუნებას.

აღნიშნული თემა გახდა ქართული ინტელიგენციის _ მწერლობის, კულტურის სხვადასხვა სფეროს მუშაკთა ყურადღების მთავარი საგანი. მწერალმა ილო მოსაშვილმა ამ საკითხს მიუძღვნა პიესა “ჩაძირული ქვები”, რომელიც რუსთაველის თეატრის სცენაზე დადგა აკაკი ვასაძემ, სპექტაკლმა სტალინური პრემია დაიმსახურა.

ამასთან, სტალინი მიზანმიმართულ მუშაობას ეწეოდა საქართველოსათვის იმ ტერიტორიების საკონპენსაციოდ, რომელიც საბჭოთა ხელისუფლების პირველ წლებში, რუსეთის საბჭოთა ფედერაციის შემადგენლობაში აღმოჩნდა.

საბჭოთა კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს 1943 წლის 6 ნო-

ჯემალ ლეჭავას გახსენება

ზაფხული იყო მაშინაც, ერთმანეთს საღამოს 4-ზე დავემშვიდობეთ, სახლებში წავედით...

მეორე დღეს საშინელი ამბავი გავიგეთ შენი ტრაგიკული დაღუპვის შესახებ. ალალი ცრემლით დაგიტირეს ალალი კაცი.

სამაგალითოდ იცხოვრე სამაგალითო მშობლების შვილმა, ღირსეული წინაპრების შთამომავალმა...

საოცარი რუდუნებით მოიძიე და მოამზადე წიგნად გამოსაცემად მშობლიური სოფლის "დიდი ჯიხაიშის ისტორია", საყურადღებოა შენი ნაშრომი "სოფელ დიდ ჯიხაიშის თეატრალური წარსულიდან" სერიულად რომ იბეჭდებოდა "სამტრედიის მაცნეში".

აუცილებლად უნდა ითქვას, რომ წმინდა მიტროპოლიტ ნაზარის (ლეჭავა) შესახებ ჯერ კიდევ მაშინ საუბრობდი, როცა ზენიტში იყო ასული კომუნისტური იდეოლოგია, გმირობა იყო ეს...

ისტორიოსი იყავი და ჭეშმარიტი ისტორია იცოდი მრავალტანჯული ჩვენი ერისა...

ნაადრევად წახვედი და გაუნელებელი სევდა, დიდი ტკივილი დაგვიტოვე.

ნათელში იყავი ჯემალ!

ლევან გაბეჩავა

გაზეთ "სამტრედიის მაცნეს" რედაქცია თანაუგრძნობს ცისანა ძოძუაშვილს

ძმის

გარდაცვალების გამო.

გაზეთ "სამტრედიის მაცნეს" რედაქცია თანაუგრძნობს თამარ დოლიძეს მამის

ნოდარ დოლიძის

გარდაცვალების გამო.

მაკა პაპავა და დიანა ნიკოლეიშვილი თანაუგრძნობენ თამარ დოლიძეს მამის

ნოდარ დოლიძის

გარდაცვალების გამო.

ემბრის გადაწყვეტილებით, ყარაჩაის ავტონომიურ ოლქში შემავალი უჩხუნულისა და მიქოიანის რაიონების ბაზაზე შექმნილი რაიონი, შეყვანილი იქნა საქართველოს შემადგენლობაში.

1944 წლის 8 იანვარს გაუქმებული ჩეჩენ-ინგუშეთის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიის ერთ ნაწილში შექმნილი ქლუხორის რაიონი ასევე გადაეცა საქართველოს.

1944 წლის მარტში, ყოფილი ჩეჩენ-ინგუშეთის მალაშინსკისა და პრიგოროდნის რაიონების, ასევე ჩრდილოეთ ოსეთის გაზელის რაიონში ფორმირებული ახალი დასახლება შეუერთდა ყაზბეგის რაიონს.

1944 წლის აპრილში კი სვანეთის რაიონს გადაეცა ევროპის ყველაზე მაღალი მწვერვალი იალბუზი. და ყაბარდოს ავტონომიური რესპუბლიკის ნაგორჩინის რაიონის სამხრეთ-დასავლეთი ნაწილი. ყველა ამ დასახლებულ რაიონებში ინტენსიურად წარიმართა ქართველების ჩასახლება. თვითოეულ კომლის უფასოდ მიეცა საცხოვრებელი სახლი, დამხმარე ნაგებობები, საჭირო ინვენტარი და სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების იარაღები. გაიხსნა ქართული სკოლები, გაყვანილი იქნა გზები და საფოსტო-სატელეფონო ხაზები.

სტალინის გარდაცვალების შემდეგ ვითარება არსებითად შეიცვალა. სტალინმაც და ქართველმოძულე ხრუშჩოვმა 1957 წელს თავიანთ ძველ ტერიტორიებსა და საზღვრებში დააბრუნა გადასახლებული ჩეჩნები და ინგუშები და აღდგენილი იქნა მათი ავტონომიური ერთეულები. აქ ჩასახლებული ქართველთა აბსოლუტური უმრავლესობა კი საქართველოში დაბრუნდა.

სტალინი არ ერიდებოდა საკავშირო ბიუჯეტიდან საქართველოსათვის ბიუჯეტს ზემოთ დამატებითი სახსრების გამოყოფასაც. 1924-1939 წლებში ერთიანი საბჭოთა ბიუჯეტიდან საქართველოს გამოეყო 6 მილიონი მანეთი ოქროთი, რომელთა შორის 2 მილიონ 600 ათასი გამიზნული იყო კოლხეთის ჭაობის ამოსაშრობად.

დახმარების ხელი გაუწოდა საქართველოს რუსეთმა და უკრაინამ, რომელთაც საქართველოს გადასცეს 968 სათიბავი მანქანა, 462 ტრაქტორი, 816 ტიერი, 36 ათასი გუთანი და სხვა სასოფლო-სამეურნეო იარაღი.

მარტო ზაჰესის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობისათვის საკავშირო ბიუჯეტიდან დამატებით გამოიყო 750 ათასი მანეთი ოქროთი, ანუ ამ მშენებელობის მთელი ხარჯების 60 პროცენტი.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებიდან 9 წლის გასვლის შემდეგ, უკვე 1930 წლისათვის საქართველოში ფუნქციონირებდა 17 სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულება, 73 პიონერთა და მოსწავლეთა სახლი, 6 საბავშვო თეატრი, 54 სპორტული სკოლა და ა. შ.

1934 წლისათვის კი საქართველოში გახსნილი იყო ფიზიკის, მათემატიკის, გეოგრაფიის, ფიზიოლოგიის, ხელოვნების, ქართული ენისა და ლიტერატურის ინსტიტუტები.

1937 წელს საბჭოთა კავშირის მასშტაბით აღინიშნა "ვეფხისტყაოსნის" 750 წლის იუბილე, ხოლო მოსკოვში მოეწყო ქართული ხელოვნების დეკადა.

მარტო რუსთაველის თეატრისა და კონსერვატორიის რეკონსტრუქციისათვის გამოიყო 2 მილიონ 200 ათასი მანეთი ოქროთი. სულ საქართველოს ხელოვნების ასაშენებლად საკავშირო ცენტრალური ბიუჯეტიდან გამოიყო 5 მილიონ 200 ათასი ოქროთი. 3 მილიონი მანეთი გამოეყო თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრს, თანამშრომლეთათვის საცხოვრებელი სახლების ასაშენებლად.

სტალინის სახელს უკავშირდება საქართველოს სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლის შექმნა, რომელსაც ბელადის რჩევით სათავეში ჩაუდგა ილიკო სუხიშვილი. ეს ანსამბლი პირველი იყო საბჭოთა კავშირის მხატვრულ-შემოქმედებით კოლექტივებს შორის, რომელსაც საზღვარგარეთ გამგზავრების პატივი ხვდა წილად.

სტალინის მითითებით 1941 წელს გაიხსნა საქართველოს მეცნიერებათა აკადემია. მისივე წინადადებით 1943 წელს შეადგინეს საქართველოს ისტორიის სახლემძღვანელო, გამოიცა ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი და ა. შ.

დიდი სამამულო ომის ქარცეცხლიან დღეებში, 1944 წელს მოსკოვში მოეწყო ქართული ლიტერატურის დეკადა.

1945 წელს საქართველოს დაუბრუნდა ქართული კულტურის, მენშევიკური მთავრობის მიერ საზღვარგარეთ გატანილი საგანძური. ფრანგი ხალხი, რომელიც სტალინს თავის სიცოცხლეშივე აღუთქვამდა ოქროს ძეგლის დადგმას, მის სამშობლოს გადასცა ყველა ისტორიული მასალა და სამუზეუმო ექსპონატი, რომელსაც 25 წლის მანძილზე ასე ერთგულად უვლიდა მისი უცვლელი მცველი, დიდი ექვთიმე თაყაიშვილი.

1947 წელს ტრეტიაკოვის გალერეაში მოეწყო ქართველ მხატვართა ნამუშევრების გამოფენა. საყოველთაოდ არის ცნობილი სტალინის გამორჩეული ყურადღება მართლმადიდებლობისადმი. ქართული მეცნიერების, ლიტერატურის, ხელოვნებისა და საერთოდ ქართული კულტურისადმი, რასაც თვით ქართველი მოღვაწენი ადასტურებენ, თავიანთ მოგონებებში. საილუსტრაციოდ მხოლოდ შალვა ნუცუბიძის, აკაკი ვასაძის, ვარლამ თოფურიას, ილიკო სუხიშვილისა და ნინო რამიშვილის მოგონებებიც იკმარებდა.

სტალინის სახელს უკავშირდება შოთას, ილიას, ვაჟას სათანადო დონეზე წარმოჩენა.

სტალინი იყო ის კაცი, რომელმაც ქართველ მეცნიერებს მიზნად დაუსახა, დაედგინათ ქართველთა წარმომავლობა, მათ მიერ შეტანილი წვლილი კაცობრიობის ცივილიზაციის საგანძურში. ბელადს სწამდა, რომ პროტოიბერები იდგნენ ადამიანთა ცივილიზაციის კარიბჭესთან. ამიტომ ჯერ კიდევ ომის დროს დაბეჯითებით მოითხოვა აკადემიკოსებს სიმონ ჯანაშიასა და ნოე ბერძენიშვილს შეექმნათ მეცნიერთა სპეციალური ჯგუფი, რომელიც შეისწავლიდა ქართველთა წინაპრების ურთიერთობასა და შესაძლო ნათესაობას უძველესი კულტურის შემოქმედ შუმერებთან, ეგეოსისა და ხმელთაშუა ზღვის აუზის ცივილიზაციის შემქმნელ ხალთან, რომ გადაეხადათ დამკვიდრებული აზრი კართაგენელებისა და ებრაელების იდენტურობის შესახებ, დაედგინათ ვისი წინაპრები იყვნენ ფინიკიელები და ა. შ.

ბელადს არ მოსწონდა სომეხი მეცნიერების ავადმყოფური ისტორიზმი და მათი ლიდერის ალ. ორბელის მიმართ შემქნილი ხელოვნური იმიჯი. ამასთან დიდად აფასებდა კონსტანტინე გამსახურდიას ლიტერატურულ ნიჭსა და მწერლურ უნარს.

სტალინის მტრებიც კი ვერ უარყოფენ იმას, რომ სამცხე-ჯავახეთში, ქვემო ქართლსა და აფხაზეთში, რომ არა სტალინისა და ბერიას მიზანმიმართული ზრუნვა, ქართველთა რაოდენობა იმისი ნახევარიც არ იქნებოდა, რაც მე-20 საუკუნის მეორე ნახევარში იყო. რამაც არსებითად შეცვალა ამ რეგიონების დემოგრაფიული პორტრეტი. საუბედუროდ, "დამოუკიდებელი" საქართველოს ხელისუფლებამ ეს მონაპოვარი თავის სავარძლებს შესწირა.

სტალინის სიდიადეს ჩემისთანა მილიონობით მოკვდავთა ვერც ქება და ვერც ლანძღვა ვერც ვერაფერს შემატებს და ვერც ვერაფერს დააკლებს. და თუ მაინც საჭიროდ მივიჩნიე კაცობრიობის ამ ტიტანზე ორიოდ სიტყვის თქმა მხოლოდ იმიტომ, რომ მსურდა მწირი ინფორმაცია მაინც მიმეწოდებინა მისი პიროვნებით დაინტერესებული მკითხველისათვის, რომლებსაც დღეს მხოლოდ გაუკუღმართებული ინფორმაცია მოეწოდება ხალხთა ჭეშმარიტი ბელადის შესახებ.

"სტალინის ცხოვრება, როგორც ამას ბატონი ვახტანგ გოგუაძე ბრძანებს: ეს არის ნიმუში ტანჯული ტიტანისა, პირადი ვნებების კანონის უზენაესობისა დამორჩილებისა. სტალინის მიერ შექმნილი ახალი ტიპის ქვეყანა ყველაზე ნაკლები ბოროტება იყო სახელმწიფოთა არსებობის ისტორიაში... ეს იყო ჭეშმარიტად სახალხო სახლემწიფო, რომლის მსგავსი უბრალო, წესიერ ადამიანს არასოდეს ღირსებია".

გვახსოვდეს! სულ სხვაა მართული საინფორმაციო საშუალებების, მოსყიდული, გავლენის აგენტი პოლიტიკოსების, მეხუთე კოლონად ქცეული არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ წარმოჩენილი სტალინი და სულ სხვაა სტალინი, სიმართლე სტალინსა და საქართველოზე.

ლევერ ღალანიძე
პროფესორი

მადლობა!

მინდა, მადლიერება გამოვხატო ყველა იმ პიროვნების მისამართით, ვინც დააფასა მამაჩემის ამაგი სამტრედიის აღმშენებლობის საქმეში და მისი სახელის უკვდავსაყოფად, სამტრედიის მოსწავლეახალგაზრდობის სახლს და სოფელ იანეთში ქუჩას ნოდარ კოხრეიძის სახელი მიანიჭა. მადლობა ამ საქმის ინიციატორს ბატონ ბორის ფოცხვერაშვილს, საზოგადოება "სამტრედიელს", მოსწავლეახალგაზრდობის სახლის კოლექტივს. მჯერა, მათი მონდომება სასიკეთო ნაყოფს გამოიღებს და მომავალშიც არაერთი სახელოვანი სამტრედიელი დაფასდება.

პატივისცემით მალხაზ კოხრეიძე

სიჭინავამ ბილეთების მყიდველებთან "იჭიდავა"!

ფოტო განწყობისთვის

ლუკა ტრაპაიძეს!

ჩვენო ლუკა, 12 წლის შესრულებას გილოცავთ, ბედნიერ მომავალს გისურვებთ, ღმერთმა გაგახაროს და წყალობა არ მოგაკლოს, სასახელო კაცი და ქვეყნის ღირსეული შვილი გაგვეზარდე!

გაბუა და ბეგია

მხიარულ, ენერგიულ, ნიჭიერ ბიჭს, ლუკა ტრაპაიძეს დაბადების დღეს ვულოცავთ და ყოველივე საუკეთესოს ვუსურვებთ.

"საქართველოს მაცნე"

ქალბატონ თინა წითელიშვილს!

ღვაწლმოსილ პედაგოგს, დიდი ოჯახის დიასახლისს, დედას, ბებიას სიყვარულითა და პატივისცემით გილოცავთ დაბადების დღეს, ღირსეულ იუბილეს, 85 წლის შესრულებას! ცხოვრების შარაგზაზე ნაგროვები წლები სიხარულად, შთამომავალთა ბედნიერებად შეგმატებოდეთ!

უფალი იყოს თქვენი მფარველი!

ეროს კაკავა

ლიკა ჟურადის ასულ გელეიშვილს!

დაბადების დღეს გილოცავთ, ჩვენო ლიკა. სიხარული და წარმატებები არ მოგკლებოდეს. უფალმა დაგიცვას, გაგახაროს და გაგაძლიეროს!

ლევანი ნათელია

სოფიკო და გოგიტა კაკაბაძეებს!

ოჯახის ახლობლებს, სოფიკო და გოგიტა კაკაბაძეებს ვულოცავთ დაბადების დღეს. ღმერთმა დაგლოცოთ თქვენს ლამაზ ოჯახთან ერთად!

რევაზ კანდელაკი ოჯახით

ბატონ გოგიტა კაკაბაძეს!

დაბადების დღეს გილოცავთ, ღმერთი იყოს თქვენი შემწე. წარმატებებს გისურვებთ!

"საქართველოს მაცნე"

მერაბ დიდიძეს!

გილოცავთ დაბადების დღეს, ჯანმრთელობასა და ხანგრძლივ სიცოცხლეს გისურვებთ!

რევაზ კანდელაკი

ქალბატონ მაყვალა კანდელაკს!

ჩვენი გაზეთის ერთგულ მეგობარს, ნიჭიერ ქალბატონს პატივისცემით ვულოცავთ სახელოვან იუბილეს, ხანგრძლივ სიცოცხლეს, ბედნიერ დღეთა სიმრავლეს ვუსურვებთ!

"საქართველოს მაცნე"

ქალბატონ ნათელა გელეიშვილს და ბატონ ვაჟა ტერელაძეს!

გილოცავთ შვილთაშვილის შეძენას. პატარა ნიკოლოზს ბედნიერება, სიკეთე და ღვთის წყალობა არ მოჰკლებოდეს. მისით გეამაყოთ თქვენც და ქვეყანასაც!

"საქართველოს მაცნე"

გივი მსხილაძეს!

ღირსეულ ადამიანს, კარგ მამას და ბაბუას, გივი მსხილაძეს 80 წლის იუბილეს ვულოცავთ. ჯანმრთელობას, სიკეთეს, ულევ სიხარულს ვუსურვებთ. გფარავდეს და გაძლიერებდეს უფალი!

შვილები: ალიწა, მარიზა და სოსო, შვილიშვილები და შვილისშვილები

მარიამ თევზაძეს!

საყვარელო მარიამ და თორნიკე, გულითა და სულით გილოცავთ ვაჟიშვილის შეძენას, ჯანმრთელი და ბედნიერი გაგიზარდოთ ღმერთმა!

ვულოცავ დიდ ბებიას, ქალბატონ ნათელა გელეიშვილს და დიდ ბაბუას, ბატონ ვაჟა ტერელაძეს. მუდამ სიხარულს დაესადგურებინოს მათ ოჯახებში!

მაყვალა ჩირგაძე

ცოტა რამ მოჭადრაკე ქალებზე

1897 წელს, ლონდონის ქალთა საერთაშორისო ტურნირში გაიმარჯვა ინგლისის ჩემპიონმა მერი რეჯმა. იგი შემდეგ მამაკაცთა ტურნირებშიც წარმატებით თამაშობდა. მერი რეჯმა მალე შეწყვიტა გამოსვლები და აღნიშნა, რომ მამაკაცები წაგების შემდეგ კარგავენ ყოველგვარ ტაქტს.

ერთმა დამარცხებულმა "ჯენტლმენმა" მუშტის დარტყმით მიყარ-მოყარა ფიგურები და "ტეხასური ძროხა" მიწოდაო, _ წერდა მოჭადრაკე ქალი მერი რეჯი.

"ბლიც" თამაშებში მონაწილეობა პოპულარული იყო ქალთა შორისაც.

ნონა გაფრინდაშვილმა "ბლიც" სეანსში 13 შესაძლებლობიდან 13 ქულა მოაგროვა.

აღსანიშნავია, რომ მან "ბლიცის" შესანიშნავ ოსტატს მიხეილ ტალს სძლია.

ნონა გაფრინდაშვილი პირველი მოჭადრაკე ქალია, რომელსაც 1982 წელს "ოსკარი" მიეკუთვნა.

ქალები მამაკაცებზე უარესად იმიტომ თამაშობენ ჭადრაკს, რომ ვერ ძლებენ ხუთ საათს ჩუმად ისხდნენ საჭადრაკო დაფასთანო, _ ხუმრობდა პაულ კერესი.

მუამზალა ლევან გაბეჩავა

ქალბატონ ბადრი რობაქიძეს!

ღვაწლმოსილ ქალბატონს პატივისცემით გილოცავთ დაბადების დღეს. ხანგრძლივ სიცოცხლეს გისურვებთ!

პატივისცემით ფოლკლორული ჯგუფი "ლაღი"

ჩვენი გაზეთის ერთგულ მკითხველს, ქალბატონ ბადრი რობაქიძეს ვულოცავთ დაბადების დღეს.

ღმერთმა დაგლოცოთ და გაგაძლიეროთ!

"საქართველოს მაცნე"

რედაქციის მისამართი:
საქართველოა, რესპუბლიკის ქ. №6
ტელ: 790 391839

მაცნე საქართველოს

დირექტორი ბეჭან გოგია

მთავარი რედაქტორი ქეთევან ჭელიძე

გამომშვები რედაქტორი თეა ბაბუნაშვილი

პასუხისმგებელი მდივანი ლევან გაბეჩავა

კომპიუტერული უზრუნველყოფა მაკა პაპამა